კვალი

X. ყოველკვირეული გაზეთი. X.

№. 49 კვირა, 1 დეკემბერი 1902 წლისა. №. 49

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სასახლის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція. «КВАЛИ».

შინაარსი: მეურნე და მეურნეობა, გ. მარმალაძისა.—საქარ. ეკონ. განვითარება მე-XIX საუკუნეში, ფ. გ.-სა.—შინაური მიმოხილვა.—სხვა და სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—მეგობართ, ლექსი გ. გოგოლაძისა.—ესეც შენი ნაზოგადოება, მოთ. ხეხ. თარ. სვირ-სკანდელისა.—ბეჭდვითი სიტ. გამო, ასთოსამწყობისა.—მცირე მოგ. შავი ქვის ისტორიიდან, მველი სემინარიელისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან. განცხადებანი.—

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა **1903** წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბაზათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად აზნაურობის ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ხხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში სპირიდონ ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დიმენტი შავიშვილთან; საბუნხაში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.

მეურნე და მეურნეობა.

I

აქ ჟამათ ჩვენში და რუსეთში გაცხარებული სჯა-ბაასია სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესობის შესახებ. ამ საგანზე ხმაურობენ პრესაში, ლაპარაკობენ საზოგადოებაში, კამათობენ სხვა და სხვა დაწესებულებაში. სამრეწველო კითხვები, რომლებისკენაც უმთავრესი ყურადღება იყო დღემდის მიქცეული, სადღაც მიიმალენ და მათი ალაგი დაიჭირა სამიწათმოქმედო კითხვებმა; სოფელი კიდევ ერთხელ წამოდგა ჩვენ წინ და მოითხოვა თავისი მდგომარეობის შემსუბუქება. ერთი სიტყვით, მეურნე და მეურნეობა—აი რა აკერია პირზე ყველას, ვისაც კი ოდნავ მაინც აინტერესებს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა.

რას წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი მეურნე და რით შეიძლება მისი ვაღონიერება? რას შეიცავს დღევანდელი ჩვენი მეურნეობა და რით შეიძლება მისი აყვავება? აი, რას იძიებენ სოფლელთა გულშემატკივარნი. და რადგანაც ჩვენც ამათ რიცხვში გვეგულება ჩვენი თავი, ამიტომ ვეცდებით მკითხველს გავუზიაროთ ამ კითხვების შესახებ ჩვენი მოსაზრება.

მეურნეთა მრავალფეროვანი ჯგუფები შეიძლება გაიყოს ორ დიდ ნაწილათ: მიწათმომქმედნი და მიწათმფლობელნი, უმამულო და მემამულე ანუ, ძველებურათ—ჩვენებურათ რომ ვთქვათ, გლეხკაცობა და თავადაზნაურობა. ჩვენ მწერლობაში თითქმის ეს ოცი წელიწადია ის აზრია გამეფებული, რომ პირველი წინ მიდის და მდიდრდება, ხოლო მეორე უკან მიდის და ღარიბდება. მაშასადამე, დღევანდელი პირობები ჩაგრავენ არა მიწათმომქმედს, არამედ მიწათმფლობელთ და მიშველებაც, რასაკვირველია, იმათ უნდათ.

განვიხილოთ, რამდენათ მართალია ეს შეხედულება.

უეჭველია, ბატონ-ყმობის მოსპობა ყმის სასარგებლო და ბატონის საზიანო იყო. და თუ ამ მხრით გავსინჯავთ საქმეს, მიწათმფლობელთა ჩამოქვეითება სრული ჭეშმარიტება იქნება. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მეურნეთა პირველი ჯგუფი განცხრომაში იყოს, ხოლო მეორე კი მასთან შედარებით გაჭირვებაში. მართალია, ბატონს მოაკლდა ცოტა რამ, მაგრამ იმდენი კი არა, რომ ის მაღალი საფეხურიდან დაბალზე ჩამოსულიყოს; მართალია, ყმას მოემატა ცოტა რამ, მაგრამ იმდენი კი არა, რომ დაბალი საფეხურიდან-

დან მაღალზე ასკუპებულიყოს. იმათ ურთიერთშორის დამოკიდებულება არ გამოუცვლიათ და ერთი მეორის ადგილი არ დაუჭერიათ. თუმცა დაბალი ხალხიდან წარმოიშვა სხვა და ხელობის მიმდევარნი, როგორც მაგ. ვაჭარი, მრეწველი, ხელოსანი, მასწავლებელი, წვრილი მოხელე და სხ., მაგრამ ესენი მეურნეობას მოსცილდენ და ამიტომ მეურნის უღელი ამით ოდნავაც არ შემსუბუქებულა. პირ-იქით, მამული დღეს გაცილებით უფრო დიდ ეკონომიურ ძალას წარმოადგენს, ვინემ ეს წინათ იყო, და,მაშასადამე,მისი პატრონიც მეტი ძალით უნდა იყოს აღჭურვილი. წინეთ ბატონ-ყმობის სისასტიკე რამდენიმეთ მსუბუქდებოდა პატრიარქალური განწყობილებით: მოყვრობ-ნათესაობით, მეზობლობით, გულჩვილობით და სხვა ასეთი ძველებური თვისებებით. დღეს კი ყველა ეს ქრება და მის ალაგს მშრალი და ულმობელი ეკონომიური ძალა დგება. აქ ყველაფერი სარგებლობით იწონება; ძმა ძმას, მამა შვილს აღარ ინდობს, თუ კი აქედან ცოტაოდენი გამოსარჩენი ექნება. ამისათვის—ბრძოლა არსებობისათვის, რაც ასე გამწვავებულია ქალაქში, თან და თან ფეხს იკიდებს სოფლებში და კიდევ უფრო მწვავდება. ღონიერათ შეიარაღებული, რასაკვირველია, ღონიერია და ბრძოლაშიაც გამარჯვებულია. და რადგანაც სოფელში ღონიერი იარაღი მამულია, ცხადია, უმამულო ულონო და დაბეჩავებულია. ამის დაქვეითებას უფრო და უფრო ხელს უწყობენ თანამედროვე პირობებიც. ერთი მხრით მას გაუმრავლდა კულტურული მოთხოვნილებები, როგორც მაგალითათ, სწავლა,ჩაცმა-დახურვა, საზოგადოებაში ,,რიგიანათ გამოსვლა'', წასვლა-წამოსვლა, წიგნების და გაზეთების კითხვა და სხვა მრავალი ასეთი, რის დაკმაყოფილება ბევრ ნაშრომს მოითხოვს. ყველა ეს ისე ღრმათ გაუჯდა იმერეთის ხალხს, რომ ის უფრო ადვილათ მოიკლებს საჭმელ-სასმელს, ვინემ მაგ. ურიგოთ ჩაცმას და მით ,,თავის შერცხვენას''. მეორე მხრით, ასეთივე, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი მოთხოვნილებები აღეძრა თვით მემამულეს. იმან გაიცნო და იგემა თანამედროვე კომფორტი, სახლის ევროპიულათ მორთვა-მოწყობა, შვილის უმაღლეს სასწავლებელში გაზრდა, ქალაქში ცხოვრება, ხანდახან საზღვარ-გარეთაც გასეირნება და სხვ. ამას ზედ დაურთეთ საადგილმამულო გადასახადიც და თქვენ წარმოიდგენთ მის შევიწროვებულ მდგომარეობასაც. საიდან უნდა დაიკმაყოფილოს ყველა ეს, თუ არა თავისი მამულიდან?

ამნაირათ მიწათმომქმედი იძულებულია თავისი შრომით დააკმაყოფილოს, როგორც თავისი, ისე მიწათმფლობელის მრავალ-ფეროვანი მოთხოვნილებანი. ამისათვის ყიდის არა თუ სიმინდს, პურს, ღვინოს და სხვა ასეთ მთავარ ნაყოფთ მეურნეობისას, არამედ იმასაც კი, რასაც წინეთ ოჯახში ხარჯავდენ, როგორც მაგ. კვერცხს, ქათამს, რძეს, ყველს, ხილს, მწვანილს და სხ. და რადგანაც ყველა ამას ბაზარი მიეცა, გლეხი თავის საჭმელათაც ვეღარ იმეტებს და გარეგან მოთხოვნილებებს მსხვერპლათ სწირავს საზრდოს მოთხოვნილებას. ამ შემთხვევაში ის ასე იმართლებს თავს: რას ვსჭამ, ვინ მიხვდება, კუჭში ხომ არ მიყურებენო! ამიტომ ხალხი თანდათან იკლებს საზრდოს და ხშირათაც სიმშილობს. ის აზრი, რომ ჩვენში სიმშილით არავინ მოკვდებაო, შემცდარ აზრათ უნდა ჩაითვალოს. შეიძლება, ერთ და ორ დღეს კაცი არ მოკვდეს უჭმელობით, მაგრამ ძლიერ ცოტა საჭმლით დაკმაყოფილება—განა ადამიანის ფიზიკურ დასუსტებას, დასნეულებას და მთელი ხალხის გადამახინჯებას არ მოასწავებს? როცა მუშა კაცი სწორეთ ზაფხულის მუშაობის თვეებში მარტო ხილით იკვებება—როგორც ეს იმერეთის ზოგ კუთხეებში იყო წელს—რა არის ეს, თუ არა სიმშილობა? განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ ჩვენ კაცს ეს სასირცხოთ მიაჩნია და მალავს, გვშია და გვაჭამეო—არ ყვირის. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ხალხი დღეს გაცილებით ნაკლებათ იკვებება, ვინემ ის ამ 10 წლის წინეთ იკვებებოდა.

ასე თუ ისე, თანამედროვე ცხოვრების განვითარება თან-დათან ავიწროებს სოფლელს და აგდებს გაჭირვებულ მდგომარეობაში. რუსეთის გლეხების სიმშილობა დიდი ხანია საარაკოთ გადაიქცა. ჩვენ კი ახლა შევდექით ამ თავჩაღმართ გზაზე და საჭიროა ამის დროზე შეგნება და გათვალისწინება. ამას ხელს უწყობს აგრეთვე მრეწველობის განუვითარებლობა და ხშირი კრიზისები; გაჭირვებული სოფლელები ვერ შოულობენ საკმაო სამუშაოს ქალაქებში და იძულებულნი არიან დაბრუნდენ ისევ სოფელში, სადაც ჩვეულებრივი გაჭირვება მოელის. ამისათვის მუშა-მეურნემ დღეს აღარ იცის, რა ქნას, საითკენაც გავიქეცი, იქით წავიქეციო—სწორეთ იმაზე ითქმის. მეურნეობა მისთვის მძიმე ტვირთათ გადაიქცა, შრომის სხვა ასპარეზი მას არ აქვს, და ამ რიგათ ტრიალებს ერთ მოჯადოებულ წრეში. ამ წრის გარღვევა და მისი იქიდან გამოყვანა—აი დღევანდელი სასოფლო-სამეურნეო კითხვა.

რა მხრით შეიძლება ამ კითხვის გადაჭრა? ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

გ. მარმალაძე.

საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში.

I

დიდი, ძალიან დიდი ცვლილება მოიტანა წარსულმა საუკუნემ საქართველოს ცხოვრებაში არა თუ პოლიტიკურათ, არამედ ეკონომიურათაც. ამ საუკუნეში დაირღვა ძველი, ფეოდალური პირობები ეკონომიურ ცხოვრებისა და მათ ნაცვლათ შეიქმნენ და განვითარდენ ახალი პირობანი, ახალი ეკონომიური ურთიერთობანი. რაში მდგომარეობს ეს ცვლილება, როგორ მიმდინარეობდა იგი წარსულში და რა სახისაა აწმყოში—აი, კითხვები, რომლებიც ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს არც ერთი მკითხველისათვის. მათი სავსებით გარკვევა და აღნუსხვა მოითხოვს მეტ დროს და მეტ მასალების ცოდნას, ვიდრე ეს ჩვენა გვაქვს, მაგრამ ის მცირე ფაქტებიც და მოსაზრებანიც, რომლებსაც აქ მოვიხსენიებთ, გვგონია, არ უნდა იყოს სულ უმნიშვნელო და დაუსაბუთებელი.

მაშ ვიკითხოთ: რას წარმოადგენდა საქართველო ეკონომიურათ ამ ერთი საუკუნის წინეთ?

ამ კითხვაზე თამამათ შეგვიძლია ვთქვათ: ეკონომიურათ კარჩაკეტილ მხარეს, რომელსაც სხვა ქვეყნებთან ძალიან, ძალიან სუსტი დამოკიდებულება ქონდა, მეტათ ცოტა ნაწარმოები შემოქონდა მათგან და ასევე ცოტა რამ გაქონდა მათთან. აქ არ იყო მაშინ განვითარებული ვაჭრობა, არ იყო გასპეციალებული მრეწველობა. ფრანგი გამბა, რომელმაც მე-19 საუკუნის დამდეგს მოიარა და გაიცნო საქართველო, ამბობს თავის წიგნში ერთ ადგილას [1]): „ვაჭრობა ამ მხარეში სულ ახალი მოვლენაა... სამეგრელოში მრეწველობა ოჯახებში სწარმოებს. აქ არა დროს არ ყოფილა ფაბრიკები ან მანუფაქტურები». და ეს სიტყვები გამბასი სინამდვილის გამომხატველია არა თუ სამეგრელოს შესახებ, არამედ მაშინდელ დროის მთელი დასავლეთ-საქართველოს შესახებაც.

საქართველოს დასავლეთ ნახევარში ძალიან განუვითარებელი იყვენ იმ დროს ქალაქები. როგორც გარეგანი სახით, ისე თავისი შინაგანი ცხოვრებითაც ისინი უფრო სოფლებს წაა-

[1]) Voyage dans la Russie mèridionale, 1 ტ. გვ. 342. 2 ტ. გვ. 207—208.

გავდენ ვიდრე ქალაქებს და სოფლებისთვის ეკონომიურათ მცირე მნიშვნელობა ქონდათ [2]).

სამრეწველო ნივთებს ხალხი ამზადებდა ოჯახებში და არა სახელოსნოებში ან ფაბრიკებში. ეს იყო მრეწველობა ოჯახური და არა ხელოსნური ან ფაბრიკული. ყოველი გლეხის ოჯახი თვითონ აკეთებდა დიდძალ უმრავლესობას ნაწარმოებთა, რომლებიც მისი არსებობისთვის საჭირო და აუცილებელი იყო: ხნავდა, თესავდა, აყენებდა ღვინოს, ქსოვდა საკუთარი თუ ნაყიდი მატყლისა, ბამბისა, აბრეშუმის და ლერწმისაგან ტანისამოსებს, აკეთებდა ხისგან სხვა და სხვა ჭურჭლეულობას, ერთი სიტყვით ცდილობდა, თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი წარმოებით დაეკმაყოფილებია.

ამ სახით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მოქმედება იმ ხანებში ერთმანეთთან მტკიცეთ იყო დაკავშირებული, მჭიდროთ იყო ერთმანეთზე გადაბმული. მიწის მუშაობით და საქონლის მოშენებით გლეხი იძლევდა კუჭს და ამზადებდა მასალას მრეწველობისთვის, ხოლო ოჯახური მრეწველობით იკმაყოფილებდა კომფორტისა და საზოგადოთ კულტურულ მოთხოვნილებებს. ცხადია, მაშინდელი გლეხის მეურნეობა უფრო რთული ანუ მრავალმხრივი იყო, ვინემ ახლა, როცა გლეხს ჩვეულებრივ სამრეწველო წარმოებაზე ხელი აღებული აქვს და მარტო სასოფლო-მეურნეობას ეტანება. ამიტომ მუშა ხელი ოჯახში მაშინ მრავლათ უნდა ყოფილიყო, რომ შესძლებოდა ასეთი მრავალმხრივი წარმოების შესრულება. სწორეთ ამ მოთხოვნილებას შეესაბამებოდა მაშინდელი ოჯახი. იგი ისე პატარა და ოთხი თუ ხუთიოდე სულის შემცველი არ იყო, როგორც დღეს არის. თუ ამ ჩვენ დროში ძმა ძმასთან აღარ დგება და შვილი მამასთან, ყველა გაყრას ცდილობს და თავისთვის დასახლებას, მაშინ, პირიქით, ოჯახის წევრნი გაყრას უფრთხოდენ, ერთათ ყოფნას ირჩევდენ და საოჯახო წარმოების ჭაპან-წყვეტას ერთათ ეწეოდენ. აქ შრომა განაწილებული იყო: სამუშაო ასპარეზი მამაკაცებს თავისი ქონდათ და დედა კაცებს კიდევ თავისი.

რასაკვირველია, იმ დროშიაც თითოეული ოჯახი ვერ მოახერხებდა ყოველთვის საკუთარი შრომით, სხვის დაუხმარებლათ, უკლებლივ ყველა თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ყველა ვერ მოახერხებდა, მაგალითათ, უცოდინარობისა თუ სხვა მიზეზის გამო, სახლის დახურვას, ქოხის აშენებას, ურმის გაკეთებას, ვერ მოერეკოდა თავის ვენახს გასათოხნათ. მაგრამ ყველა ამგვარ შემთხვევებში მას ეხმარებოდა, ვითარცა ნადი, მცოდნე და იმ დროებით მოცლილი მეზობელი, რომელიც სამაგიეროს შრომითვე მიიღებდა დავალებულისაგან. ან და: ყველა სოფელში არ იყო ცხვარი და, მაშასადამე, მატყლი, არ მოდიოდა ბამბა, არ მოიპოვებოდა ჭურჭლისთვის გამოსადეგი თიხა. მატყლს და ბამბას ყიდდენ ისინი, ვისაც ცხვარი ყავდა, ვისაც ბამბა მოყავდა, თიხის ჭურჭლებს აკეთებენ იმ სოფლის გლეხები, სადაც თიხა მოიპოვებოდა, და ყიდდენ იმ სოფლებში, სადაც მცხოვრებლებს არც თიხა და არც ჭურჭლის გაკეთებისთვის საჭირო ცოდნა არ გააჩნდათ. მაგრამ აქაც მწარმოებლები ახერხებდენ უფულოთ იოლათ წასვლას: ხშითათ ერთმანეთს ნაწარმოებებს უცვლიდენ და ამიტომ ფულს ძალიან ნაკლებ საჭიროებდენ.

ამ ნაირათ, საკუთარი ოჯახური წარმოება და საკუთარივე ოჯახური მოხმარება—აი, რა იყო მაშინდელი გლეხის მეურნნობის დამახასიათებელი ნიშანი.

და არა თუ ყმა გლეხების ოჯახებში, თვით ბატონების ოჯახებშიაც სწარმოებდა იმ დროებში სამრეწველო წარმოება. ბატონების სასახლეებში ქსოვდენ გლეხის დედაკაცები ტანისამოსებს, რისთვისაც საჭირო მასალა: მატყლი, ბამბა, ლერწამი და კანაფი, აბრეშუმი ყმებს უნდა მოეტანათ. აგრეთვე საკუთრათ ბატონის მეურნეობაშიაც მოყავდათ ლერწამი და აკეთებდენ აბრეშუმს. როგორც მიწის შემუშავება ლერწმისთვის, ისე ყაჭისთვის ბჟოლის ფოთლების მოტანა ყმების მოვალეობას შეადგენდა [3]). გარდა ამისა მებატონეს ზოგიერთი მზა-მზარეული სამრეწველო ნაწარმოებიც მისდიოდა გლეხებისაგან. მაგალ., ყმებს უნდა ეძლიათ ბატონისთვის მოქსოვილი ტილო და დაგრეხილი თოკები. კიდევ ბევრ სხვა მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა ბატონი ყმა გლეხების სამრეწველო მუშაობით. გლეხებს უნდა აეგოთ მისთვის სახლი, ბოსელი, ბეღელი და სხვ., განეახლებიათ სახლის სახურავი, გაეკეთებიათ ურემი და გუთანი. ბატონი იმის ვალდებულიც კი არ იყო, რომ მისას მომუშავე „მოხელეებისთვის“ საჭმელი მიეცა,—ამათი საჭმელი სხვა ყმებს უნდა გამოეგზავნათ [4]). გარდა ამისა ბატონს ყავდა ყმებში ნამდვილი ხელოსნებიც: მჭედლები, მესპილენძე-მექვაბეები, ოქრომჭედლები, რომლებიც, რა თქმა უნდა, მისთვის უსასყიდლოთ მუშაობდენ.

ამ სახით, ბატონიც გლეხებსავით თითქმის ყველა თავის მოთხოვნილებებს შინაურული ნაწარმოებით იკმაყოფილებდა. საჭმელ-სასმელი თავზე საყარათ უგროვდებოდა გლეხებისაგან და სამრეწველო ნაწარმოებთაგანაც უმრავლესობა შინვე უმზადდებოდა. იმ ნაკლის შესავსებათ, რომელსაც ვერ უვსებდა საკუთარი თუ ყმა-გლეხების მეურნეობა, ბატონს შესდიოდა გლეხებისგან გადასახადი ფულათ და ამ ფულით იგი ყიდულობდა იმ მცირე ნაწარმოებთ, რომლებიც კანტი-კუნტათ ვაჭრებს შემოქონდათ უცხოეთიდან.

ყოველ შემთხვევაში ბატონიც ისე, როგორც გლეხი, შედარებით ძალიან ცოტას ყიდულობდა და, მაშასადამე, ფულსაც ნაკლებ საჭიროებდა. რახან ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა არ იყო განვითარებული, ამიტომ გლეხებსაც არ შეეძლოთ ფულის შოვნა და, მაშასადამე, ბატონისთვის გადასახადის სულ ფულათ ძლევა. ბატონისადმი ვალდებულებას ისინი იხდიდენ ნაწარმოებით და ძალიან ცოტას ფულით. ხალხში შრომის გაუნაწილებლობისა და ამის გამო ვაჭრობის განუვითარებლობის მიზეზით ფულის შოვნა ისე ძნელი იყო, რომ ბატონები, როცა ყმებს საკმაო ფულს ვეღარ აძრობდენ, თვითონ მათ ყიდდენ თათრებზე და სპარსელებზე. შარდენს გულის შემზარავი სურათები აქვს აღწერილი, რომლებიც ჩვენი თავადებისგან ყმების გაყიდვას შეეხება.

აღმოსავლეთ-საქართველოშიაც ფულით გადასახადი გლეხებს საერთო გადასახადებთან შედარებით ცოტა ქონდათ. აქაც ყმები გადასახადთა უდიდეს ნაწილს ნაწარმოებით იხდიდენ, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ამერეთის გლეხობა ფულათ უფრო მეტს იხდიდა, ვინემ იმერეთისა. ეს განსხვავება, ჩვენი აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ ამერეთში ქალაქები და მოქალაქობრიობა უფრო განვითარებული იყო, ვინემ იმერეთში და გურია-სამეგრელოში.

მართალია, აქაც ქალაქები თავისთავათ დიდს არაფერს წარმოადგენდენ. მაგალ., კლაპროტი ამნაირათ ასწერს მაშინ-

---

[2]) შეად. გამბა ibid. 1 ტ. გვ. 171, 322, 399, 400. Klaproth, Reise in den Kaukasus und nach Georgien, 1 ტ., გვ. 722. Güldenstädt, Reisen nach Georgien und Imerethi, გვ. 166 ი. როსტომაშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1 ტ., გვ. 247—249. გაზ. „მეურნე“ 1895 წ. № 24 და 25.

[3]) იხ. И. Бахтадзе, Податное обложенiе госуд. крестьянъ Зак. кр., გვ. 16.

[4]) იქვე გვ. 17.

დელ გორს[5]): „თფილისს შემდეგ გორი უშესანიშნავესი ქალაქია საქართველოში. ამ ქალაქში 300-დე სახლია და გარს კედელი აქვს შემოვლებული .. გორში არავითარი ფაბრიკები არ მოიპოვება. არის მხოლოთ რამდენიმე ქსელი, რომლებზეაც განით ნახევარ არშინიან ხამებს და პატარა ოთხკუთხედ ბამბის ქსოვილებს ქსოვენ საბნების პირებათ... ბაზარი შესდგება ასიოდე დუქნისაგან; დუქნები დიდია, მაგრამ შიგ ისე ცოტა საქონელი აწყვია, რომ მედუქნე თავისუფლათ მოიკიდებს ზურგზე და წაიღებს“ სხვა ქალაქები ხომ იმ ხანებში გორზე კიდევ უმნიშვნელონი იყვნენ[6]).

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამერეთს ქონდა მაინც ერთი ქალაქი, თფილისი, საცა ვაჭრობა და ხელოსნური მრეწველობა კარგა დიდი იყო. მე-17 საუკუნეში, შარდენის სიტყვით, თფილისში მრავალი ხელოსნობა იყო და ვაჭრობა შესანიშნავათ გაზრდილი[7]). მე-18 საუკუნის მესამოცე წლებში თფილისში 20.000-დე მცხოვრები ითვლებოდა[8]), რაც ცოტა არაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელ დროს და ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიპატარავეს.

ადვილი გასაგებია, რომ ქალაქების შედარებითი სიძლიერის ზედგავლენით ამერეთში საოჯახო მრეწველობა ისე მკვიდრათ ველარ იქნებოდა და საზოგადოთ ხალხის მეურნეობას სულ მთლათ ისეთი მარტივი სახე ვერ ექნებოდა, როგორც იმერეთში. აქ ქალაქის გასპეციალებული ხელოსნური წარმოება უკეთესს სამრეწველო ნაწარმოებს ამზადებდა, ვინემ ოჯახური მრეწველობა და ვაჭარსაც უკეთესი საქონელი შემოქონდა უცხოეთიდან, ვინემ ადგილობრივ მოიპოვებოდა. ცხადია, ხალხში შრომის განაწილება აქ მეტი უნდა ყოფილიყო, ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა-გამოცვლა უფრო ხშირი, გლეხებისთვის ფულის შოვნა თავისი ნაწარმოების გაყიდვით უფრო ადვილათ მოსახერხებელი, ვინემ იმერეთ-გურია-სამეგრელოში. ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების მდგომარეობა ამერეთის თავად-აზნაურობას შეძლებას აძლევდა, თავისი მოთხოვნილებები გაედიდებია და უკეთესათაც დაეკმაყოფილებია, ვინემ ეს საოჯახო მრეწველობის საშუალებით შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიტომაც იგი გლეხებს ფულათ მეტს ახდევინებდა და მოთხოვნილებებსაც უფრო ფართოთ იკმაყოფილებდა ვინემ, მისი იმერელი თანამოძმე წოდება.

თუმცა საზოგადოთ მთელ საქართველოში გლეხობას ფულით გადასახადი ბევრათ ნაკლები ქონდა, ვინემ ნაწარმოებით, მაგრამ ისიც, რაც ფულათ უნდა გადაეხადა, მაინც ძალიან საგრძნობელი და საძნელო იყო მისთვის. ქალაქები საერთოთ ისე გაზრდილი, ხალხით და ეკონომიურათ ისე გამაგრებული არ იყვნენ, რომ ხალხს შესძლებოდა სოფლის სამეურნეო ნაწარმოებთა გაყიდვით იმდენი ფულის აღება, რამდენიც საჭირო იყო ბატონების გასასტუმრებლათ და საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათაც. ქალაქის მცხოვრებლები მაშინ ზოგიერთ სასოფლო მეურნეობის დარგებსაც აწარმოებდნენ: მოყავდათ ხილი, ბოსტნეული, ბამბა და აყენებდნენ ღვინოსაც[9]). და ეს კი ამცირებდა, რასაკვირველია, სოფლიდან ქალაქში გასაყიდათ შესატან ნაწარმოებთა რაოდენობას. ირგვლივ მაჰმადიანები [illegible] იმათში ხომ, თავისთავათ ცხადია, [illegible]რი არ არსებობდა. და ის ცოტა ფული, რომელსაც გლეხი იღებდა სხვა და სხვა სანოვაგის ქალაქელებზე გაყიდვით ან ზოგიერთ დაუმუშავებელ მასალის ექსპორტერ ვაჭართან გასაღებით, მას გადასახადის სახით უნდა ჩაებარებია ბატონისათვის და თვითონ კი ცარიელ-ტარიელი დარჩენილიყო. ამასთან განუწყვეტელ ომისა და აოხრების წყალობით მისი მეურნეობა ისე იყო დაცემული, რომ იგი ხშირათ შიმშილის კერძი ხდებოდა და ლუკმა პურისთვის თავს თავის ნებით ყიდდა. ეკონომიური გაჭირვება აიძულებდა მას თავისი მოთხოვნილებანი ერთ დონეზე შეეჩერებია და ხშირათ კიდეც შეემცირებია. ხელოსნისა და ვაჭრისაგან იგი ყიდულობდა მხოლოთ ისეთ საგნებს, ურომლებოთაც მას მეურნეობის გაწევა და, მაშასადამე, არსებობა არ შეეძლო. იგი უძლური და დაბეჩავებული იყო ბატონ-ყმობით და გაპირუტყვებული თავის მოთხოვნილებათა განუვითარებლობით. ამიტომ მას მეტი გზა არ ქონდა, საოჯახო მრეწველობას მაგრათ უნდა ჩაბღაუჭებოდა და ცდილიყო, რომ თავისი მცირე მოთხოვნილებები როგორმე თავისთავათ, გარედან უყიდლათ დაეკმაყოფილებია.

თუ როგორ და რით შეიცვალა შემდეგში ეს ეკონომიური წყობილება, ამას მეორე წერილში დავინახავთ.

ფ. გ.

შინაური მიმოხილვა.

ახალი ხანა, რომელიც ნიშნავს მრეწველობის და ტეხნიკის განვითარებას, ჩვენ ქვეყანასაც კაი ხანია დაუდგა. მარა ჯერ ჩვენ ამ საქმეში მაინც ნორჩი ვართ. ჯერ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ფეოდალური წყობილების ნანგრევებს თვალ-საჩინო ადგილი უჭირავთ და საგრძნობელათ უშლიან ხელს ხალხის, როგორც მატერიალურათ, ისე გონებრივათ განვითარებას. ამიტომაც ყოველ სამრეწველო თუ საალებ-მიცემო საქმის გაჩენა ჩვენში არის პროგრესიული მოვლენა. ის არღვევს ძველ პატრიარხალურ ურთიერთობას, ავითარებს ხალხის ეკონომიას, გამოყავს სამოქმედოთ ახალი ძალები, ხელს უწყობს ხალხის თვითცნობიერების გაღვიძებას. აი ამიტომაცაა, რომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ახალი საკომისიო ამხანაგობის დაარსებას. ამ ამხანაგობის მიზანია ჩვენ ნაწარმოებს საზღვარ-გარეთ მოუპოვოს ბაზარი. უფრო წინ წასულ საზღვარ-გარეთთან დაკავშირება მრეწველობაში, საქონლის აღებ-მიცემობა, მატერიალურ დაწინაურებასთან ერთათ, გამოიწვევს გონებრივ ზრდასაც. საქონლის გაცვლა-გამოცვლას თან მოყვება აზრების გაცვლა-გამოცვლა და ჩვენი წინსვლა.

*
* *

ჩვენ ქვეყანაში ბევრი რამ გამოურკვეველი და გაუთვალისწინებელია: ბევრი საზოგადოებრივი სენი დაფარულია და ჯეროვანათ გამოაშკარავებული არაა. ხოლო მათი გამოაშკარავება მაშინაა შესაძლო, როცა ამის უფლება გვექნება, როცა იმას, ვინც იტანჯვის ამ სენის გამო, შეძლება ექნება თავისი გულის წუხილი გამოთქვას, თავისი სიმართლე სხვის სიყალბეს დაუპირდაპიროს. თუ პირი დამუწული გაქვთ, მაშინ ვერც თავის მდგომარეობას გამოარკვევთ და ამით კიდევ

---

[5]) Loc. cit., 2 ტ., გვ. 328—329.

[6]) შეად. Егiазаровъ, Изслѣдованiе по исторiи учрежденiй въ Закавказьѣ, 1 ტ., გვ. 15; 2 ტ., გვ. 252. Güldenstädt, loc. cit. გვ. 98—99.

[7]) Chardin, Voyage en Perse et autres lieux de l'orient, 1 ტ., გვ. 86. დასტურლამალი გვ. 23, 100, 104. შეად. Ахвердовъ, Тифлисскiе амкары, გვ. 8—9. Егiазаровъ, loc. cit., 2 ტ., გვ. XXVI—XXVII.

[8]) Güldenstädt, loc. cit., გვ. 128. Freygang, Briefe über den Kaukasus und Georgien, გვ. 106.

[9]) დასტურლამალი, გვ. 103—104. Güldenstädt, loc. cit., გვ. 131. Егiазаровъ, loc. cit., I, გვ. 248.

უფრო ისარგებლებენ სხვა და სხვა უქმ-მყლაპი ძალები. მეტი თავისუფლება ამ შემთხვევაში მეტ სინათლეს ნიშნავს. ხოლო ყოველი სენი სინათლეს გაურბის და ემალება. ამიტომ ჩვენ მეტათ სასარგებლოთ მიგვაჩნია ბ. ქუთაისის გუბერნატორის გადაწყვეტილება, მოიწვიოს სოფლის მეურნეობის საჭიროებათა კომიტეტის სხდომებზე გლეხები, როგორც თავის წოდების წარმომადგენელნი. გულახდილი და დაკვირვებული მსჯელობა გამოაშკარავებს ბევრ სენს, რომელნიც დღეს ღრღნიან გლეხის გულს, უხუთავენ მას სულს, უბოქვენ ხელებს და არ აძლევენ ნებას თავი დაახწიოს გონებრივ და მატერიალურ სიღატაკეს.

*
* *

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ მშრომელი ხალხის საარსებო პირობები არაა მაინც და მაინც სანატრელ მდგომარეობაში. ბევრ სხვა პირობათა შორის თვალსაჩინო აღგილი უჭირავს სანიტარულ პირობებსაც. სრული უკონტროლობა ამ სფერაში ბადებს ათას-გვარ ბოროტმოქმედებას, რომელიც სანახევროთ უმოკლებს სიცოცხლეს მშრომელ ხალხს. მაინც მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია წვრილ სამრეწველო დაწესებულებათა სანიტარული პირობები. თვალ-ყურის დევნება ამ მხრით, გამოაშკარავება ყოველი ჩვეულებრივის თუ არა, უკიდურესი სისაძაგლის მაინც, აუცილებლათ საჭიროა. მაგრამ დღემდის ამისთვინ თითქმის არავინ ზრუნავდა. ახლა სამედიცინო დეპარტამენტს განკარგულება მოუხდენია, საიდანაც ვტყობილობთ, რომ ქალაქის ექიმების მოვალეობაა თვალ-ყური ადევნონ სამრეწველო დაწესებულებების ჰიგიენურ მდგომარეობას. ვინ იცის, ეგების ახლა მაინც ვეღირსოთ ოდნავ გაუმჯობესებას ამ მხრით.

*
* *

მოახლოვდა დრამატიული საზოგადოების წლიური კრება. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით ამ საზოგადოების მოქმედებისთვის თვალ-ყური გვედევნებია. არა ერთხელ აღგვიშნავს მისი ნაკლი და შეცდომები. ახლა, ვგონებ, დროა მივმართოთ თვით ჩვენ ხალხს, საზოგადოებას, რადგან საბოლოოთ თვით ხალხის სახელით მოქმედებენ ყველა ჩვენი დაწესებულებანი, მის სიმპატია-ანტიპატიაში პოებენ ისინი თავის ძალას და გამხნევებას.

ჩვენ სცენას ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებათა შორის საპატიო ადგილი უჭირავს და სიმპატია მისდამი თუ დღითიდღე იზრდება, თვარა არ კლებულობს. ამის მიზეზიც აშკარაა. ის თითქმის ერთათ—ერთი ასპარეზია, სადაც შედარებით თავისუფლათ გამოცხატავთ ჩვენ გულის თქმას, ჩვენ ძისწრაფებათ. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, სცენა ჯერაც ჩვენში, ეგრეთ ვთქვათ, შინაურ წარმოების ხანაშია. ის ჯერ კიდევ გამაგრებულა სავსებით, ვერ დავაჟ-კაცებულა და სულ იმის შიშში ვართ, ვაი თუ ერთი პაწაწა დაბრკოლება წარმოსდგეს და საქმე შეფერხდესო. სხვათა შორის ჩვენ სცენას მეტათ აბრკოლებს ახალი ძალების სისუსტე. ვერ ვხედავთ ახალი თაობის იმ გამაცოცხლებელ მისწრაფებას სცენისაკენ, რომელიც ყოველ საქმეს აცოცხლებს და აყვავებს. არ ითქმის, რომ ჩვენში არ იყვენ ნიჭის პატრონი ახალგაზრდები, რომელთაც შეეძლოთ ჩვენი სცენის დამშვენება. მაგრამ რას იზამთ? ჩვენი ხელ-მოკლეობა და კულტურის სისუსტე ისეთ პირობებში გვაყენებს, რომ თითქმის ყოველი მცირედი საზოგადო საქმეც კი მსხვერპლს მოითხოვს. და ვის უნდა მოვთხოვოთ ეს მსხვერპლი? ეგრეთ წოდებული ,,ნასწავლი'' ხალხი ძალიან შორსაა ყოველი მსხვერპლისაგან. დღევანდელი ,,ნასწავლი'' ახალგაზრდა ამჯობინებს აქედანვე უკუ აგდოს ყოველი თავის მისწრაფება და ლტოლვილება, რომ ოცდაათ-ორმოცი წლის შემდეგ პენსია დაიმსახუროს. ის აქედანვე ეხვევა მოხელის მანტიაში და ქუდ-მოგლეჯილი გაურბის ყოველ დამოუკიდებელ ასპარეზს, სადაც საჭიროა მეტი მხნეობა და დამოუკიდებლობა, სადაც მოსალოდნელია ყოველნაირი გასაჭირი. ეს ცოტაა. ის იმავე დროს ქმნის ერთნაირ საზოგადოებრივ ატმოსფერას, ზნეობრივ მიმდინარეობას, რომელიც ამართლებს ,,ყველა ცხენნი და დაცინვით დასცქერის ყველა იმათ, ვისაც სურვილი აქვს თავისი მცირედი ძალით საზოგადო საქმეს ემსახუროს. რა გასაკვირვია, ასეთ პირობებში, ასეთ ზნეობრივ ატმოსფერაში ჩვენ იშვიათათ დავიანახოთ საზოგადო ასპარეზზე ახალი თაობა!! მით უფრო გაოცებული და გახარებული დავრჩით ჩვენ, როცა ქუთაისის სცენაზე დავინახეთ ახალგაზრდა ნასწავლი, ბ. ქორიძე. იმედია, მისი სასცენო ასპარეზზე გამოსვლა სხვებსაც დააფიქრებს მაინც და, ვინ იცის, ეგების ვინმე კიდევ „შეცდეს" (მოხელეობრივი ტერმინოლოგია) და მას გვერდში ამოუდგეს. ღმერთმა ქნას.

*
* *

ჩვენ მოწმენი ვართ ერთი ისეთი მოვლენისა, რომლის აღნიშვნა აუცილებლათ მიგვაჩნია. საზოგადოთ კაპიტალიზმის განვითარების პირველი ხანები იყო თავისუფალი მეტოქეობის, თავისუფალი კონკურენციის მეფობა. აქ თავისუფალ ჰიდილში ერთი იღუპებოდა, მეორე იზრდებოდა; ყველა იმის ცდაში იყო, რომ ერთმანეთისთვინ წინ გაესწრო და იმავე დროს მათ სრულიათ არ ქონდათ შეძლება გაეთვალისწინებიათ თავისი ახლო მომავალი. სრულიათ მათთვის მოულოდნელათ ბაზარი საქონლით ივსებოდა, მოწოდება მოთხოვნილებას გადააჭარბებდა და ამ ნაირათ ჩნდებოდა კრიზისი, რომელიც ერა ერთ კაპიტალისტს დატოვებდა პირში ჩალა გამოვლებულს. ეს მოვლენა დღესაც არის. მაგრამ სხვილი კაპიტალიზმის გაზრდამ და მომწიფებამ სხვა ნაირათ დაატრიალა საქმე. სხვილ კაპიტალისტებმა შეიგნეს, რომ მათი ინტერესები მოითხოვს შეთანხმებას, „ძმურათ» მოქმედებას. და კიდეც შეთანხმდენ ისინი ბევრ წარმოებაში. გაიყვეს ბაზარი, დაწესეს საქონელზე განსაზღვრული ფასი და ამ ნაირათ თუ აქამდი ბაზარი მათზე ბრძანებლობდა, ახლა ისინი თვითონ ბრძანებლობენ ბაზარზე. ეს მოვლენა გაძლიერდა დიდ კაპიტალის ქვეყნებში. ამერიკის ტროსტები ყველასათვის ცნობილია. დღეს ასეთი მისწრაფება ერთ ჩვენებურ წარმოებაშიაც გაჩნდა. გაზეთები გვატყობინებენ: ბაქოს სხვილ მწარმოებლებმა შეკრეს კავშირი, რომ გაინაწილონ ბაზარი და დაწესონ ფასებიო. ამ ნაირათ ჩვენ წინ არის მსხვილ კაპიტალისტთა კავშირი. მერე რას ნიშნავს ეს? ყველა იმათ ზარალს, ვინც კი მათგან რამე-ნაირათ დამოკიდებულია. მათ შეერთებას ისეთი შედეგი მოსდევს, რომელიც მშრომელი ხალხის საარსებო პირობებს აფუჭებს, მათი შეერთება მხმარებლების გაყვლეფაა.

სხვა-და-სხვა ამბები.

თფილისის ქართველ სახალხო წარმოდგენების სექციის ანგარიშიდან ჩანს, რომ 1901—1902 წლის სეზონის განმავლობაში გაუმართავს სექციას 26 წარმოდგენა ავჭალის სახალხო წარმოდგენების სადგომში და სიფხიზლის საზოგადოების თეატრში რკინის გზის სახელოსნოებთან. წარმოდგენებს სეზონის განმავლობაში დასწრებია სულ 7,380 კაცი, ასე რომ თითოეულ წარმოდგენაზე საშუალო რიცხვი მოდის 307 კაცი, სექციას შემოსავალი ქონდა სულ 543 მან. და 63 კაპ., ხოლო ხარჯი 550 მან. 87 კაპ. წარმოდგენები იმართებოდა აგრეთვე ავლაბარშიაც. სიფხიზლის საზოგადოების თეატრში გამართულ წარმოდგენების წმინდა შემოსავალი აღნიშნულ საზოგადოების სასარგებლოთ რჩებოდა. წარმოდგენე-

ბის დროს სცენის მოყვარეთ დახმარებას უწევდენ ქართული დრამატიული საზოგადოების დასის არტისტები: ქ-ბნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ბ. აწყურელი და სხვები.

საექიმო დეპარტამენტს ცირკულიარული განკარგულება მოუხდენია ყველა საექიმო გამგეობისათვის, რომ ქალაქის ექიმები მოვალენი არიან, თავის პირდაპირ მოვალეობათა გარდა, ქარხნები და სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერონ და იქაურ სანიტარულ მდგომარეობას თვალ-ყური ადევნონ.

სურამის მცხოვრებნი სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობენ, რომ დაბა სურამი პასადათ გადაკეთდეს.

ავლაბრის მესამე ხორცის დუქანს გახსნიან დეკემბრის პირველ რიცხვებში. მეოთხე კი ვერის მოედანზე მომავალ იანვრამდი არ გაიხსნება.

ქუთაისის გუბერნატორს მიუღია რამდენიმე საჩივარი ბათომის არჩევნების გამო. გუბერნატორს ბათომის ქალაქის მოურავისაგან მოუთხოვნია განმარტება ამ საგნის შესახებ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება დანიშნულია 15 დეკემბრისათვის.

კერძო საავათმყოფოს შესანახათ სოფელში ერთხელვე დაწესებული გადასახადია დადებული ყოველ საზოგადოებაში, სადაც კი საავათმყოფო უნდა გაიმართოს თანახმათ სოფლის დადგენილებისა. ეს გადასახადი სახელმწიფო გადასახადისაგან ცალკე უნდა აიკრიბოს სოფელში და ამისათვის საგუბერნიო მთავრობას ცალკე წესი აქვს დადგენილი, აკრებილი ფულიც შემნახველ კასაში უნდა შეინახოს და საჭიროების მიხედვით იმ კომიტეტმა უნდა გამოიწეროს საავათმყოფოს დახარჯი, რომელიც თვით საზოგადოებისაგან უნდა იქნეს არჩეული. ამ წესის თანახმათ, გუბერნატორს ამ დღეებში კვიტანციის წიგნაკები დაურიგებია მაზრების უფროსების შემწეობით ყველა კერძო სასოფლო საავათმყოფოსათვის.

ბათომის საბჭოს ხმოსანთა დამატებითი არჩევნები დანიშნულია დღეისთვის.

დაიბეჭდა და ამ ორ დღეში დაურიგდება ყველა წიგნის მაღაზიებს და კალენდრის გამყიდველებს ძმათა თავართქილაძეების „კედლის კალენდარი“ და „საყოველთაო კალენდარი“.

კორესპონდენციები.

სოხუმი. ვინც სოხუმში ოთხელ და აქაურ თეატრში წარმოდგენას დასწრებია, უთუოთ პირველათ გაკვირდებოდა თეატრის გარეგანი და შინაგანი მორთულობით. ეს ასეც უნდა ეთქვიათ, რადგან თეატრი აქ არ არის, არის მხოლოთ კლუბის ერთი ოთახი დარბაზი, რომელიც ძლივს იტევს 100 კაცს. ხალაში 80-მდე სკამია, ოთხი დამპა და თვრდა, ეი მთელი მორთულობა აქაური თეატრისა. თუმცა ბევრს არ მოსწონს ასეთი თეატრი, მაგრამ დღეს არ ხერხდება უკეთესის აგება. მიზეზი ბევრია; უმთავრესი კი ჩვენი გაუნათლებლობა, უკულტურობაა. მადალი წრის საზოგადოება არ კადრულობს ამ თეატრში სიარულს, ნოქრებს არც ქონებრივი მხარე აძლევს ნებას და არც, უნდა გამოვტყდე, გონებრივი საზრდოს მოთხოვნილება (მე ვამბობ უმრავლესობაზე). ან და რა მოთხოვნილება ექნებათ, რომ 16—18 საათის შრომა მათთვის საკმაოდ ებულოთ. ექსპლოატაცია კანონიერია და დადგენილ დაწესებული სოხუმში. რომ თეატრის გამგე ... ...

ამ ოანხიდან დანიშნება ბენსიები და აგრეთვე მოაწყობენ სხვა და სხვა დაწესებულებებს, რომლებიც საჭიროა მწერლობის ინვალიდებისათვის, როგორც მაგ., სანატორიები, თავშესაფარები და სხვა.

— კიევში ან ოცდა ხუთმა კაცმა, რომელნიც მსახურებენ საკაზრო-სამრეწველო დაწესებულებებში, მიართვეს ქალაქის თავს ფრიად სერიოზულათ დასაბუთებული მოხსენება. მოხსენებაში შემუშავებულია სანოვაგეების მალაზიებში მოსამსახურე ბირების დღესასწაულებში დასვენების შესახებ კითხვა. შინაგან სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტი დაეკითხა ქალაქის თვითმართველობას, თუ როგორაა კიევში მოწყობილი უქმე დღეებში დასვენების საქმეო. მოხსენებაზე ხელის მომწერნი ითხოვენ, მოხსენდეს დეპარტამენტს, რომ კიევში შემოღებული დადგენილება უქმე დღეებში საკაზრო დროს განსაზღვრისა (12 საათიდან—2 საათამდე) არაა საკალდებულო ვაჭრობის ყველა დარგში. ეროვნიალურ და საბალო საქონლით მოვაჭრე მალაზიები არ იკეტება უქმე დღეებში, რადგან სენატმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალით საბჭოთა გადაწყვეტილება არ ეხება დამზადებულ საზოგაგით მოვაჭრე მალაზიებს. სენატის ასეთი განკარგულებით დღეს მეტათ ბოროტმოქმედებენ, რის გამო ურიცხვი ნოქარი იძულებულია იმუშაოს დღეში 16—17 საათი. სამართლიანობის დასაცველათ ოხოგანაზე ხელის მომწერნი ითხოვენ, რომ იმ მოხსენებასთან ერთათ, რომელშიც აღნიშნული იქნება, თუ რამდენათ ემორჩილებიან უქმეებში დასვენების შესახებ საკალდებულო დადგენილებას, სხვა და სხვა საკაზრო დაწესებულებანი, ქალაქმა იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან, რათა უქმე დღეებში სულ ყველა მალაზიები გამოუცალებლივ იყოს დაკეტილი. ნოქრების ოხოგანას გაიხილავს საბჭო.

— რკინის გზების მართველობებმა აღძრეს შუამდგომლობა გზათა სამინისტროს წინაშე, რომ შემოღებულ იქნას რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის ნერიოდულათ ჯამაგირის მოატანა, ორველ ხუთი წლის თავზე. ეს შუამდგომლობა მეორე ჯერ არის აღძრული.

— კიევის საქალაქო რკინის გზაზე მართველობამ გადაწყვიტა სამუშაო დღის შემოკლება კონდუქტორებისათვის. ამიტომ ახლა მოსამსახურეთა რიცხვი გაორეს. უკანასკნელ დროიდის კონდუქტორები ქალაქის ტრამვაიზე მუშაობდენ ერთაშუა ათ საათს. რა კი მათი რიცხვი გაორეს, ამას შემდეგ სამუშაო დღე საგრძნობლათ შემოკლდება. ერთი წრე იმუშავების დიდის 7 საათიდან შუადღის 2 საათამდე, მეორე კი—ორი საათიდან მოძრაობის შეწყვეტამდე.

— სახალხო განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა დაწყებით შკოლების მასწავლებლების მოუმატოს ჯამაგირი. წინეთ უმაღლეს ჯამაგირათ ითვლებოდა 25 მანეთი, ახლა აიკვანეს 30 მანეთამდე.

— ვარშავის ოლქის სასამართლოს სინოდის სამართლის განყოფილებაში გაირჩა გზეთ „Вѣк-“ის რედაქტორის ზალკინდის საქმე, რომელსაც ბრალათ ედებოდა ტენზორის ნება დაურთველათ ორი სტატიის დაბეჭდვა. სასამართლომ მოისმინა მოწმის, უფრო ტენზორის ჩვენება და აგრეთვე ზალკინდის განმარტება და გადაწყვიტა უკანასკნელს ათი მანეთით დაჯარიმება, თუ შეძლება არ ექნება, იმ შემთხვევაში ორი დღით დატუსაღება.

— დღეს რუსეთში მეტათ გულმოდგინეთ მუშაობენ სასოფლო მეურნეობის მოთხოვნილებათა კომიტეტები. ბევრი კომიტეტი, როცა შეეხო იმ ზომებს, რომელთა შემწეობით შესაძლოა სოფლის მეცხოვრეობა ზნეობრივათ და ეკონომიურათ ამაღლება, სოფლის ხალხში ინიციატივის და საზოგადოებრივი თვითმოქმედების განვითარება, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეოლების გარმანთალებელი გაკეთება აქ მეტათ სუსტია. საჭიროა, რომ თვითმოქმედების განვითარებას ეშველებოდეს ის მოქალაქეობრივი დაწესებულებანი, რომელთან ყოველ დღე აქვს საქმე ადამიანს. ამ შესედულობის მიხედვით კომიტეტებმა გამოთქვეს ის აზრი, რომ აუცილებლათ საჭიროა გადეხთა წოდება უფლებრივათ განსაზღვრულ იქნას დანარჩენ წოდებებთან. კოლინის, გუბერნიის ტერიტორიალურ-ინტერესანტინოვის კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს: „ჩვენ გადეხს მივცეთ საწყალის შემდეგ, ამასთან ერთათ საჭიროა მისი ბირობენების ამაღლება, საჭიროა განვითარდეს მასში ენერგია, დამოუკიდებელი მისწრაფება, ამიტომ უნდა მოგეშოროთ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიან კულტურულ და ეკონომიურ განვითარების გზაზე მისი თვითმოქმედების გამომჟღავნებას. ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა გავუთანასწოროთ გადეხი სხვა წოდებების წარმომადგენლებს ბირად და მოქალაქეობრივ უფლებებში, საჭიროა დავუმორჩილოთ ის საერთო ადმინისტრაციას და საერთო სამსაჯულო ჯაწესებულებათ. ბოგოროდსკის კომიტეტის წევრის, ერშოვის, აზრით, სიღხეში ენერგიის და თვითმოქმედების განვითარება შეუძლია მხოლოთ შესაფერ საზოგადოებრივ დაწესებულებათ, ადგილობრივ თვითმართველობას. „რა კი გადეხი ვერ ბოლობს საკმარისათ თავის დაცვას კანონში ძალმომრეობისაგან, რაკი არ ძალუძს მას თვისი უფლების ადგენა საამართლოს შემწეობით, ამიტომ გადეხს არ შეუძლია რწმენა კანონიერების ძალა. იმას რწმენა მხოლოდ ძალის კანონიერება და კიდეც სრგებლობს იმით, როცა შეუძლია“. საზოგადოთ ამ კომიტეტებში ბევრი ბალტიკური აზრი გამოითქვა. სხვათა შორის ერთმა კომიტეტმა დაადგინა: „ურთიერთი ბასუხის მგებლობა მოსაბა ცხოვრებამ, ახლა უნდა მოისპოს თორმაგურათ, როგორც ეროვნული განვითარების ხელშეშალიო“.

— ასტრახანის გაზეთები გადმოგვცემენ შემდეგს: ასტრახანში ირჩეოდა თამასუკის მოპარვის საქმე, ერთმა მოწმემ, დარიონოვმა, თვიტზე უარი განაცხადა. მან თქვა: მე თვიტზე უარს ვამბობ ისეთი მიზეზების გამო, რომელთა დასახელება არც მსურს და არც შემიძლია. ამის შესახებ ბრალმდებლის თანაშემწემ თქვა: თუმცა მე ვერ ვპოებ საფუძველს მოწმე დარიონოვის მხრით თვიტზე უარის განცხადებისა, მაგრამ რა კი მან ეს უარი გადაჭრით გამოაცხადა, სასამართლოს კი არ აქვს ისეთი საშუალებები, რომ აიძულოს მოწმე ჩვენება თვიტს ქვეშ მოკიცეს, ამიტომ მე ძესაძლოთ მიმაჩნია, რომ მას დაუფიცებლათ ჩამოართვა ჩვენება. თავმჯდომარემ მოითხოვა დარიონოვს საჭიროთ გამოცხადება, რომ ის მხოლოთ სიმართლეს იტყვის. დარიონოვი დაინმდა. სასამართლომ დაუფიცებლათ ჩამოართვა მას ჩვენება.

— ამას წინეთ ჩვენ მოვიყვანეთ „Правит. Вѣстник“-იდან ტელეგრამეთ გადმოცემული შემოკლებული ცნობები. ახლა მოგვაქვს სიტყვა-სიტყვით. „დონის როსტოვში მოთავსებულ კავკავის რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა“ სამი ათას კაცამდე, ოთხ ნოემბერს უეცრივ შეწყვიტეს მუშაობა და მოსთხოვეს გზის უფროსს სამუშაო დღის შემოკლება, ხელფასის მოატება, ზოგიერთ ხელოსანის დათხოვნა და სხ., ამავე დროს განაცხადეს, რომ ხანებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებამდის მუშაობას არ დაიწყებენ. ამის გამო რკინის გზის მართველობამ გამოაცხადა—წამოყენებული მოთხოვნილებანი წარედგინება გზათა სამინისტროს განსახილველათ. გაფიცვის ბირველ დღეებში მუშები თავდაჭერილათ იყვენ, რის გამო მათ წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიუღიათ. 7 ნოემბერს როსტოვის სახელოსნოების გაფიცულ მუშებს გამოუცხადეს გზათა სამინისტროს განკარგულება, რომელიც ამბობდა—მუშების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი განუსილველათ დატოვებულ იქნა, რადგან მუშებმა თავის ნებით აღკვეთეს მუშაობა და არ მიმართეს თავის უფლებების დასაცველათ კანონიერ ნერხსა. ამიტომ მუშებს იწვევენ მიელოთ თავისი ანგარიში და სხვაგან მოესახათ სამუშაო. გაფიცვის დაწყებიდანვე, შენიშნეს, რომ მუშებ შორის ატარებდენ დაბეჭდილ პროკლამაციებს, რომელზედაც ხელს აწერდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ

მუშათა პარტიის დონის კომიტეტი'' და რომელშიც აღნიშნული იყო ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნილებები და გაიფიცვის მოწოდება. შემდეგ დღეებში ბროდსკიანელები უფრო და უფრო კრცელდებოდა, და მუშათა მოძრაობამ თავი იჩინა რამდენიმე სახელოსნოსა, ქარხანასა და ზავოდებში, რის გამო 8 ნოემბერს დატესილეს ხუთი გაფიცვის წამქეზებელი; ამათ დაჭერის დროს ადმოუჩნდათ საკმაოთ ბევრი მოწოდება. 9 და 10 ნოემბერს მუშებმა განაგრძეს ერიდობები, რისთვისაც აირჩიეს ქალაქ როსტოვის სემესნიტების უბანს იქით მდებარე ხევი. 11 ნოემბრისთვის რკინის გზის მთავრობამ დანიშნა უკანასკნელი ვადა; ამ დღეს მსურველი უნდა დაეწყოთ მუშაობა, ხოლო ვისაც არ სურდა, იმათ მიეღოთ თავისი ანგარიში. ამავე დღეს დატესილეს კიდევ ექვსი აგიტატორი. რომ შეეშალათ ხელი მუშების ერიდობისათვის ზემო დასახელებულ ხევში, გამოიწვიეს ასი უზანი რუსი. მიუხედავათ ამისა მუშებმა 11 ნოემბერს დილადანვე დაიწყეს ხევის გარშემო ჯგუფ-ჯგუფებათ თავის მოურა, წინააღმდეგ ბოლიციის მოთხოვნისა, რომ დაშლილიყვენ. დღის განმავლობაში ცხენოსანი უზანები ათ ჯერ მაინც ეცადენ გაერეკათ ხალხი მათრახებით, ხოლო ქვეითა ჯარი მოქმედებდა კონდახებით, მაგრამ მუშებმა დაუშინეს მათ ქვები, ერთი ოფიცერი დაშავდა, 9 უზანთ რუსი დიჭრა, მათ შორის—2 მძიმეთ, ხოლო უბნის ზედამხედველს ბრბომ გაუტეხა თავი და მოტეხა თითი. მუშები იგრიბებოდენ მტირედ ჯგუფებათ და დასტინოდენ ჯარს, მიუხედავათ იმისა, რომ ჯარის წინააღმდეგ ეოფოთხილებდა მათ, რომ ის იძულებული გახდება მათ თოფები დაუშინოს. როცა მუშების თავგასულობამ უკიდურეს სარისხამდე მიაღწია და ქვების სროლაც არ შეწყდა, მაშინ უზანების ქვეითა ჯარის 50 კაცს ებრძანა მომზადებულიყვენ სასროლათ, რის შემდეგ გავარდა 37 თოფი. ბრბო გაიფანტა და დატოვა ადგილზე ორი მკვლარი და ცხრამეტი დაჭრილი, ამ უკანასკნელთა შორის ორი ქალაქის სააკთმეოფოში უკვე გარდაიცვალა. კავკაზის რკინის გზის როსტოვის სასელოსნოებში გაფიცვამ იქონია გავლენა ხასენებულ რკინის გზის სადგურ ტიხორეცკაიასთან მოთავსებულ სახელოსნოების მუშებზედაც. მუშებმა 15 ნოემბერს დილით დასნებეს მუშობას თავი, გამოვიდენ სასელოსნოებიდან და მოხდინეს ერიდობა. ამის შემდგ როსტოვიდან მოსულ აგიტატორებისაგან წაქეზებულმა ბრბომ ისეთიეგე მოთხოვნილებანი წარმოადგინა, როგორც როსტოვის მუშებმა. 16 ნოემბერს უუბნის ოლქის მართველობამ გამოუცხადა გაფიცულთ—აღკრძალულია ეოფილ გვარი ერიდობა. მიუხედავათ ამისა, მეორე დღეს, დილის ათ საათზე, ათასამდე მუშამ ხელახლა მოახდინა ერიდობა. არა ერთხელ ეოფილიყვენ მათ და უბრძანებდენ, რომ დაშლილიყვენ. ისინი მაინც არ დაიშალენ, ამის მაგიერ ჯარს ესროდენ ქვას, დასჭრეს 12 უზანი რუსი, ათეულს ცულით გაუჭრეს ხელის მტევანი; რა კი არავითარმა საშუალებამ არ გაჭრა ბრბოს უგუნურების დასამშეიდებლათ, ამიტომ ჯარის უფროსი იძულებული იყო ჯერ ეხმარა ტივი იარაღი, შემდეგ კი თოფები, რის შემდეგ ბრბო გაიფანტა, აღმოჩნდა, რომ ბრბოში ორი კაცი მოკლულ იქმნა, შვიდი დაჭრა მძიმეთ, ხოლო 12—მსუბუქათ. ამ მუშათაგან, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს ჯარს, 102 კაცი დატესილეს. დასახელებულ სახელოსნოების მუშათა მოძრაობის მიზეზების და გარემოებების გამოსარკვევათ წარმოებს განსაკუთრებული გამოძიება, ბასუნის გებაში მიცემულია წამქეზებელნი და ის პირნი, რომელნიც დატესილეს არეულობის ადგილზე.

საზღვარგარეთ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ავსტრალიის ახალშენებში ახალმა ზელანდიამ დაიჭირა მეტათ საპატიო ადგილი. ამ თორმეტი წლის წინეთ იქ შედგა ძლიერი რადიკალური პარტია, რომელმაც პარლამენტში საკანონმდებლო. დღემდისაც ამ პარტიის წინამძღოლები მართვენ ქვეყანას. დემოკრატების წარმომადგენლები მეტის. გულმოდგინებით შეუდგენ შრომას. მათი მეცადინეობით ქვეყანა კანონმდებლობა შესაძლებელთ შეიტვალა მეხოგრებთა-საკუთარ-ლეოთ. ახალი ზელანდია საარაკო ქვეყანათ შეიქნა, იქ ისეთი ბრძანებები განხორციელდა, რომლის გარშემო დღესაც იბრძვიან ევროპის პარტიები. ხალხის მთელი დემოკრატიული ნაწილი მუშებიდან დაწყებული წვრილ მესაკუთრეებით ერთათ მხარს უჭერდა მთავრობას და კმაყოფილი იყო მისი მოქმედებით. დღეს კი ამას კელარ ვხედავთ. დღეს ირღვევა ის ერთობა, რომელიც წინეთ დროებით დამყარდა და ისახება სულ ახალი მიმართულებანი. სხვათა შორის მთავრობამ გადაწყვიტა მოესპო დიდი მამულები. ამიტომ შან დაადგა მიწებს დიდი გადასახადი. მემამულეებმა ვერ აიტანეს ეს ტვირთი და იძულებული გახდენ მამულებზე ხელი აელოთ. მთავრობამ შეიყიდა ეს მამულები, დაყო მტირედ ნაწილებათ და დაურიგა უმიწა-წყლო ხალხს. მასთან მისცა დიდი შეღავათი. ამნაირათ მან გაამრავლა წვრილი მესაკუთრეები. სანამ ეს უკანასკნელნი გაამოიყიდენ მიწებს და მოიმაგრებდენ თავს, გულმოდგინეთ იცავდენ მთავრობის პოლიციას. მაგრამ დღეს სულ სხვა. დღეს ისინი გაჩოთენ მესაკუთრენი, მამულის პატრონები, და როგორც მემამულეები, მოითხოვენ თავის ინტერესებს. ახლა ისინი ზეკიდან დაყურებენ ქალაქის მუშებს, პროლეტარიებს. მათი აზრით, დიდი შეცთომაა, რომ ,,დაბალ კლასს'' განიჭებთ არჩევანის უფლებას. გარდა ამისა, მათი ინტერესები პოლიციაში ეწინააღმდეგება მრეწველთა ინტერესებს. მეურნეებს სურთ თავიანთი ვაჭრობა, ისინი წინააღმდეგი არიან პროტექციონიზმის. ეს იმ მოსაზრებით, რომ თუ პროტექციონიზმი მოისპობა, მაშინ თვეზე ახლათ წარმოიენებული მრეწველობა ვერ გაუწევს მეტოქეობას საზღვარ-გარეთის მრეწველობას, ქარხნები დაიხურება, მუშები დარჩებიან ულუკმა-პურათ. ეს გარემოება კი მათ აიძულებს ქალაქი დასტოვონ და მიაწოდონ თავისი ძალა თითქმის მუქთათ სოფელს. ამავე დროს მუშა ხალხშიაც იწყება მოძრაობა. ბევრი ამოოგანი იმ აზრისაა, რომ დღევანდელ რეფორმებს მეტათ ხელი ნაბიჯათ მიეყვა ქვეყანა გაბედითარების გზაზე. ისინი ითხოვენ წარმოების ,,არეულთა ნაციონალიზაციას. ამგვარათ ირღვევა დემოკრატიულ პარტიის ერთგვარობა და ისახება ახალი პარტიები.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘ. პარლამენტში მოხდა ერთი არაჩვეულებრივი მოვლენა. პარლამენტი ოკტალთვის ირჩევს რამდენიმე მუდმივ კომისიას, რომელთა მოვალეობაა სხვა და სხვა კანონ-პროექტების და ზომების წინადაწინ განხილვა და პალატისათვის წარსადგენათ მოამზადება. წინეთ ისეთი წესი იყო, რომ კომისიებში უნდა შესულიყო უველა პარტიის წარმომადგენლები. ახლა ტაქტიკა შესცვალეს და კომისიები შედგა მთავრობის მომხრე უმრავლესობისაგან. სხვათა შორის სოციალურ დაზღვევის კომისიის ბრეზიდენტათ ამოირჩიეს მინისტრათ ოთხილი მიდიერანი, რომელის მინისტრობამ დიდი განსეთქილება ჩამოაგდო მუშათა შორის.

❋ ინგლისში მომუშავეთა დეპუტატიას სამხედრო მინისტრმა გამოუცხადა, რომ მინისტრი რვა საათიან სამუშაო დღის მომხრეა და დღეს ამ კითხვის განხილვაშია, თუ როგორ შემოიღოს ასეთი სამუშაო დღის განსაზღვრა სამხედრო სამინისტროს ხელ-ქვეით მყოფ დაწესებულებებში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ. ამას წინეთ პრეზიდენტმა რუზველტმა მიიღო ინგლისის მუშათა კავშირების დელეგატები, რომელნიც წავიდენ ამერიკაში ამ ქვეყნის მრეწველობაში არსებულ წესების შესასწავლათ. რუზველტმა თქვა: ,,ბატონებო, მე დრმა უურადღებით ვეპურობი სხვა და სხვა სოციალურ კითხვებს, რომელთა ერთ ჯგუფს შეადგენს მუშათა კითხვა. რამდენათაც მრეწველობა წინ მიდის, იმდენათ უფრო ძლიერათ იჩენს თავს როგორც მრეწველთა, ისე მუშების შორის ორგანიზაციისკენ მისწრაფება, შეკავშირება. სხვათა შორის ასეთ კავშირებისადმი ჩემი უურადღება იმიტომაა მეტათ მიქცეული, რომ მათ შეუძლიათ

მოიტანოს, "როგორც დიდი სიკეთე, ისე დიდი ვნებაც. უაზრო დროის მოთხოვნილებასთან ბრძოლა, იმ მოთხოვნილებასთან, რომელმაც საჭირო გახდა კავშირების შედგენა, მეტად უგნურება იქნება მუშათა კავშირის დაგმობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ის მუშათა კავშირია; შესაძლოა მხოლოდ ამ კავშირების მოქმედების კრიტიკა".

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. დღემდის ინგლისში იყო „თავისუფალი" შოლა, ესე იგი ადგილობრივი თვითმართველობანი თვითონ აირჩევდნენ სასწავლებლებს. მთავრობა კი თავის მხრით ამ საქმეში არ ერეოდა და არ აძლევდა უფირატესობას იმა თუ იმ ტიპის შოლას. რასაკვირველია, ასეთ პირობებში მეტად კეთილდღეობდა საერო შოლა. როცა სამინისტრო გადავიდა კონსერვატორების ხელში, მაშინ იმათ მოინდომეს ამ მეუღლობის დარღვევა, იმათ მოინდომეს სასულიერო სასაათის შოლების დამკვიდრება. აქედან წარმოსდგა საშოლო ბილი, რომელიც უპირატესობას აძლევს კონფესიონალურ შოლებს. რა საკვირველია, ქვეყნის უმრავლესობა წინააღმდეგი გახდა ამ ბილის. დიბერალები ელხზე დადგენ, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდენ. სულ ხვა ნაირად უტქვრდენ ბილს ირლანდიელები. ირლანდია კათოლიკეთა ქვეყანაა. როგორც მოგეხსენებათ, იქ მეტად გამწვავებულია დიდი მემამულეების, ლენდლორდების და ხალხის შორის ბრძოლა. და ამ ბრძოლაში კათოლიკეთა ეკლესიის ხალხის მხარე უჭირავს. აშკარაა, ხალხიც თავის სამღვდელოებს ეხმარება. ეკლესიის დატვა ამ შემოსვევაში თავისი ინტერესების დატვაა, რადგან სამღვდელო პირები საუკეთესო აგიტატორები არიან ლენდლორდების წინააღმდეგ. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ პარლამენტიც ირლანდიელი დეპუტატები საშოლო ბილს დაიცავდენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ირლანდიელმა დეპუტატებმა არ მოისურვეს კონსერვატორთა სამინისტროს მსარის დაჭერა, ამით საშოლო ბილის განხილვის დროს დაანებეს თავი პარლამენტს. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში. ამიტომ ირლანდიელთა ლიგის მეთაური ობრაიენი იძულებული გახდა თავი ემართლებინა სალხის წინაშე. ირლანდიელი დეპუტატები, იქვა მან, მანამდი ესწრებოდენ პარლამენტის სხდომას, სანამ მოსალოდნელი იყო, რომ საშოლო ბილს ტოტალურნი დებრეოლებაც კი მოელოდა. მაგრამ კარგა ხანია ბილი ასტდა ეოკვლიგე განსატვალს, და ეხლა რომ ირლანდიელ დეპუტატებს მაინც განეგრძოთ პარლამენტში სხდომებზე დასწრება, მაშინ ისინი მთავრობის მოხების როლს ასრულებდენ. ამის მაგიერ ირლანდიელთა პარტიამ სულ სხვას მიაგნია ეურადღება, მან გაამღიერა ხალხში აგიტაცია და ბეერსაც მიაწია. იმან ძალიანთ შესცვალა ირლანდიაში მიწათმფლობელობის შესახებ კითხვის მდგომარეობა. მთავრობამ უარი თქვა წინანდელ ბილის დაკანონებაზე. ეს ბილი კი ირლანდიელებს სრულიად არ აკმაყოფილებდა. ჩვენ ეხლა მეტათ მოგვიახლოვდა ის მომენტი, როცა აგრარიული კითხვა ირლანდიაში საკეთილოთ გადაწყდება, მთავრობამ ხელი აიღო ძალადატანებით პოლიტიკაზე. ირლანდიის ახალმა ვიცე-კოროლმა ისეთი სიტუკვები წარმოსთქვა, რომ კონსერვატორებს ბრაზი სული ეხუთებათ.

მეგობარო, სად ხარ ამ დროს?

—

როს გამწირა სულის სწორმა,
ეშმაკურათ მღალატა,
ფიქრზე ფიქრი, შხამზე შხამი,
წყლულზე წყლული დამიმატა;
როს, ვით მწირი უდაბნოში,
მარტოთ-მარტო დავალ ობლათ,
გული სევდამ ამომართვა,
მოგონება მექცა გლოვათ;
როს ვერ ვხედავ თანამგრძნობსა
ჩემი ტანჯვის, ჩემი წყლულის,
როს მალამო არსით მიჩანს
ცხოვრებისგან დაჭრილ გულის;
როს არ ვიცი—ვის შევტირო,
ჩემი სევდა ვუზიარო,—
შენ სადღა ხარ, მითხარ—სად ხარ,
სად ხარ ამ დროს, მეგობარო?!.

კ. გოგოლაძე.

ესეც შენი საზოგადოება!

(მოთხ. ჩეხოვისა)

...გათავდა!.. ამიერიდან ლოთობას თავი უნდა დავანებო, სწორეთ უნდა დავანებო; დროა ჭკუაზე მოვიდე... საჭიროა მუშაობა, შრომა... თუ ფულის ჯიბეში ჩაჩხრიალება გიყვარს, იცოდე, შრომაც უნდა გიყვარდეს; მაგრამ შრომაცაა და შრომაც... მესმის პატიოსანი შრომა! ძილს და ფუფუნებასაც, ხომ იცი, თავი უნდა დაანებო... ოხუნჯობალაზღანდარობასაც უნდა გამოესალმო... ეჰ! ჩემო თავო, მიეჩვიე უშრომლათ ფულების ჩაჯიბვას,—ეს კი ვერაა კარგი... დიახ, ვერაა კარგი...

ასეთ დარიგებას აძლევდა თავის თავს ობერ-კონდუქტორი პოდტიაგინი და უფრო ბეჯითათ შრომობდა. ნაშვალამევის ორი საათია... პოდტიაგინს კი ისევ ღვიძავს, აღვიძებს დანარჩენ კონდუქტორებს და ყველანი მგზავრების დასაოვალიერებლათ ვაგონში დაიარებიან.

„თქვენი ბილეთი"!.. ხმა მაღლა ყვირის პოდტიაგინი. ვაგონში ხალხი ღრმა ძილშია, მაგრამ კონდუქტორის ყვირილმა ყველას დაუფრთხო ძილი... თვითეულმა მათგანმა აჩვენა კონდუქტორს ბილეთი და ისევ ჩაიძინა.

„თქვენი ბილეთი"!.. ეხლა პოდტიაგინმა მიმართა მეორე კლასში მჯდომ მგზავრს, რომელიც ტყავში და საბანში იყო გახვეული და გარშემო ბალიშები ქონდა შემოლაგებული.—„თქვენი ბილეთი"!.. კიდევ გაუმეორა პოდტიაგინმა. მგზავრმა არ გასცა ხმა. მას ღრმათ ეძინა. პოდტიაგინმა რამდენჯერმე კიდევ წაკრა ხელი მგზავრს და შესძახა:—„თქვენი ბილეთი"!.. მგზავრი შეკრთა, უცბათ თვალები გაახილა და გაშტერებულმა პოდტიაგინს მზერა დაუწყო... „რა ამბავია? თქვენ ვინა ხართ? რა გნებავთ?".

— „თქვენ ადამიანურათ გელაპარაკებიან... თქვენი ბილეთი... გთხოვთ გაისარჯოთ და ბილეთი მიბოძოთ...

„ღმერთო ჩემო!" ამოიკვნესა მგზავრმა და ისეთი სახის გამომეტყველება მიიღო, გეგონებოდათ ტირილს აპირებსო... „ღმერთო ჩემო! ნუ თუ ამ სულელებს არ ესმით, რომ მე ამდენი ხანი რევმატიზმითა ვწვალობ და ვიტანჯები... აგერ სამი ღამე იქნება, რაც ჩემ თვალებს ძილი არ მიკარებია... რაღაც უბედურებაა... არაფრის გზით არ მეძინება. საშვალებაც ბევრი ვიხმარე, მაგრამ ვერას გავხდი. წარმოიდგინეთ, მე ჩემი მემართება და ეს კი ბილეთსა მთხოვს. შენ რომ იცოდე, თუ როგორ ვწვალობ, მაშინ ასე შეუცოდებლათ არ მომეკიდებოდი... არა, ერთი ეს მითხარით—ჩემი ბილეთი რა ჯანაბათ გინდათ, სწორეთ ვერ გამიგია!—ამაზე მეტი სისულელე განა იქნება სადმე!..

პოდტიაგინმა იფიქრა, იფიქრა,—ავადმყოფს ვაწყენინო თუ არაო,—და დაბოლოს გადაწყვიტა, რაც უნდა მომხდარიყო, ავათმყოფისთვის მაინც არაფერი არ უნდა დაეთმო.

— „თქვენ ნება არა გაქვთ, რომ ამოდენი იყვიროთ! აქ სამიკიტნო კი არ გახლავთ!"—ხმა-მაღლა შესძახა პოდტიაგინმა.

— იცოდეთ, რომ სამიკიტნოშიაც კი თქვენზე უფრო კაცურათ და პატიოსნათ იქცევიან... ჩაახველა მგზავრმა.—

მოდი და ხელმეორეთ კიდევ დაიძინე. რა ჯანაბა დამაძინებს!.. საზღვარ-გარეთ ვიყავი, ოლათ დედა-მიწა შემოვიარე და ასე არავინ არ მომქცევია; იქ ჩემთვის არავის ბილეთი არ უკითხავს.—აქ კი ლამის გვერდები შემომალეწონ... აი, უბედურობაც ეს არის...

— საზღვარ-გარეთ გაემგზავრეთ, თუ კი ასე მოგწონთ!..

— სისულელესა ჩმახავ, ჩემო ხელმწიფეო! მესმის, მესმის... ეგ-ღა გაკლდათ. ფუჭი ფორმალისტობაა და სხვა არაფერი. ერთი ეს მითხარით,—ჩემი ბილეთი რაში დაგჭირდათ! სწორეთ მიკვირს...

— გთხოვთ, ბატონო, მომისმინოთ,—დაიწყო პოდტიაგინმა,—თუ თქვენ ყვირილს თავს არ დაანებებთ და მგზავრებს შეაწუხებთ, მე ძულებული გავხდები ჩამოგსვათ რომელიმე სადგურზე წესიერება-მშვიდობიანობის დარღვევისათვის და ოქმი შეგიდგინოთ.

— სწორეთ სამაგლობაა!—მრისხანეთ ჩაილაპარაკა საზოგადოებმა.—უბედურობაა... საწყალ ავათმყოფს მოსვენებას არ აძლევენ.—სად არის შებრალება!..

— განა თუ მე ვარ დამნაშავე... თვითონ მაგან გამლანძღა, გამათრია,—შეშინებით ჩაილუღლუღა პოდტიაგინმა—კარგი,—მე ბილეთს არ გამოგართმევ. როგორც გსურდეთ... მაგრამ, იცოდეთ, ჩემი სამსახური ამას თხოულობს... და თუ მე ვტყუი—შეგიძლიათ სადგურის უფროსს კითხოთ და გაიგოთ ჩემი სიყალბე.

პოდტიაგინმა გადააქან-გადმოაქანა თავი და ავათმყოფს მოშორდა. პირველად თავის თავი თუმცა გალანძღულათ მიაჩნდა, მაგრამ ჩაკვირვების შემდეგ სინდისის მხილება იგრძნო; იგრძნო, რომ ცუდათ მოექცა ავათმყოფს.—სწორეთ არ უნდა გამეღვიძებია—დაიწყო პოდტიაგინმა; მაგრამ მან მალე აზრი გამოიცვალა:—დიახაც მე დამნაშავე არ გახლავარ... მე ვასრულებ ჩემ თანამდებობას და ჩემი თანამდებობაც ამას მავალებს. მე რა შუაში ვარ?.. და თუ არ მიჯერებენ, მე შემიძლია სადგურის უფროსს მოვახსენო ეს გარემოება!..

აი სადგურიც. მატარებელი ხუთი წამითაა გაჩერებული; სანამ მესამეთ ზარს შემოკრავდენ, მეორე კლასის ვაგონში შევიდა იგივე ობერ-კონდუქტორი პოდტიაგინი, რომელსაც თან სადგურის უფროსი შეყვა თავისი წითელი ქუდით.

— აი, ეს ვაჟ-ბატონი ბრძანებს,—დაიწყო პოდტიაგინმა, ვითომ მე არავითარი ნება არ მქონდეს ბილეთის მოთხოვისა და, წარმოიდგინეთ, ამასთანავე გულიც მოდის. ამისათვის გთხოვთ, როგორც სადგურის უფროსს და გამგეს, აუხსნათ ამათ, რომ მე ვთხოულობ ბილეთს წესისა და კანონისამებრ და არა ჩემი სურვილების მიხედვით. აი,—ბატონო, (პოდტიაგინი ავათმყოფს ელაპარაკება)—შეგიძლიანთ კითხოთ სადგურის უფროსს და გაიგოთ სიმართლე, მე თუ არ მიჯერებთ...

ავათმყოფი ავარდ-დავარდა, თვალები გაახილა, სახე საცოდავათ მოღრიჯა და მდივანზე მიეყრდნო.

— ღმერთო ჩემო! აი ესაა მივიღე დასაძინებელი წამალი და ის იყო თვალი დავხუჭე, ჩემ წინ აიმართა მაგ... გთხოვთ იქონიოთ სიბრალული...

— თქვენ შეგიძლიათ მოელაპარაკოთ სადგურის უფროსს იმის შესახებ, მაქვს თუ არა უფლება ბილეთი მოგთხოვოთ.—სწორეთ აუტანელია ეს გარეგობა ჩემთვის!.. აჰა, ბილეთი, თავში იხალე... თუ კი ასეა, ხუთ ბილეთს კიდევ ვიყიდი, მხოლოთ წვალებაში ნუ დამალევინებთ სულს,—ნუ თუ თქვენ როდისმე ავათ არ ყოფილხართ? ნამდვილ გრძნობა დახშული ხალხი ამასა ქვია...

— დაცინვაა, მასხრათ აგდებაა,—გულ-მოსულათ ჩაილაპარაკა სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილმა კაცმა,—სხვანაირათ რითი უნდა აიხსნას კონდუქტორის ასეთი საქციელი?

— მოშორდი!—შეუყვირა უფროსმა პოდტიაგინს, თანაც ხელი წაკრა. პოდტიაგინმა თავი [illegible] სადგურის უფროსს უკან გაყვა.

— მოდი და პატივი ეცი!—უკვირდა პოდტიაგინს.—იმისთვის დავუძახე სადგურის უფროსს, რომ ამ კაცს გაეგოჩემი სიმართლე; ამან კი სამაგიეროთ ლანძღვა-გინებით ამავსო...

მეორე სადგური. მატარებელი გაჩერდა ათი წამით. მეორეთ ზარს სანამ შემოკრავდენ, პოდტიაგინი ბუფეტში იდგა და ზელტერის წყალს სვამდა. ამ დროს მასთან მივიდა ორი კაცი: ერთი ინჟენერის ტანისამოსში იყო გამოწყობილი, მეორეს კი სამხედრო პალტო ეცვა.

— მომისმინეთ, ობერ-კონდუქტორო!—მიმართა ინჟენერმა პოდტიაგიანს.—თქვენმა საქციელმა იმ ავათმყოფის შესახებ ყველა ძლიერ აგვაღელვა. მე ინჟინერი პუზიკაი ვარ, ესენი კი... უფალი პოლკოვნიკი. აი, ეხლა რა უნდა გითხრათ: თუ თქვენ იმ ავათმყოფ მგზავრის წინაშე ბოდიშს არ მოიხდით, იმ შემთხვევაში ჩვენ განზრახვა გვაქვს რკინის გზის უფროსს საჩივარი მივართვათ და იცოდეთ, რომ საქმე თქვენთვის ძლიერ ცუდათ გათავდება, რადგან იმ უფროსს ჩვენ კარგათ ვიცნობთ.

— ბატონებო! მე კი... მხოლოთ თქვენ.. თრთოდა პოდტიაგინი...

— განმარტება საჭირო არ არის. მხოლოთ ჩვენ წინ-და წინვე გირჩევთ ბოდიში მოიხადოთ, თორემ მერე ჩვენ ვიცით...

— ძლიერ კარგი, მე... მე... დიდი პატივისცემით. მოდიშს მოვიხდი... კი, ბატონო...

ნახევარი საათის შემდეგ, როცა პოდტიაგინმა კარგათ მოიფიქრა, თუ როგორ უნდა მიემართა და ბოდიში როგორ უნდა მოეთხოვა მგზავრისათვის, შეიდა ვაგონში.

— მოწყალეო ხელმწიფევ!—მიმართა პოდტიაგინმა ავათმყოფს,—მომისმინეთ, ბატონო!

ავათმყოფი შეკრთა და შეყვირა.

— რა ამბავია? მე იმის... გთხოვთ, არ იწყინოთ...—არიქა წყალი... ავათმყოფი შეწუხდა.—ახ, ღმერთო ჩემო, როდის გათავდება ეს წვალება!—მე იმას... გთხოვთ მაპატიოთ!..

— გესმით!.. გადამსვით შემდეგ სადგურზე.—მეტი აღარ შემიძლია... მე... მე ვკვდები...

— ეს სისაძაგლეა!.. უსინდისობაა!—აღელდა საზოგადოება.

— დაიღუპეთ აქედან შორს! სამაგიერო ჯილდოს მალე მიიღებთ ამნაირი საქციელისათვის.

დაღონებული პოდტიაგინი ძლივს სუნთქავდა, გარეთ გამოვიდა და პირდაპირ მოსამსახურეების ვაგონში შევიდა; ჩამოჯდა საბრალოდ და მოყვა ყველრებას:—„ესეც შენი საზოგადოება, ესეც შენი ბეჯითობა!.. აი, მოდი და პატივი ეცი! მოდი და იშრომე, იბეჯითე! შენდა უნებურათ ყველაფერს თავს დაანებებ და გადაკრავ მა რა ჯანაბას იზამ!.. არაფერს აკეთებ—გიჯავრდებიან, იშრომებ—მაინც გიჯავრდებიან... ესჰ ისევ არაყი!.. გადაკვრისთანა არა არის რა''!..

პოდტიაგინმა წამოაველო ბოთლს ხელი და სულ მოუბრუნებლათ შუამდი დაიყვანა; ამის შემდეგ სრულიათაც აღარ გახსენებია შრომა, მოვალეობა, ბეჯითობა და პატიოსნება...

სვრ სკანდელი

ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝ.

200 წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც ტყვიის არმია მოქმედებს ვრცელ რუსეთის იმპერიაში. ბეჭდვითი სიტყვა შეიქნა უდიადეს იარაღათ აზროვნების გავრცელების და განვითარებისა. ყოველი აზრი მსწრაფლათ ვრცელდებოდა იქ, სადაც ბეჭდვითი სიტყვა დამყარდა. ბეჭდვითი სიტყვამ რუსეთში ამ 200 წლის განმავლობაში ბევრი სინათლე შეიტანა ცხოვრებაში, მაგრამ ის ადგილი მაინც არა აქვს ჯერ დაჭერილი, რომელიც ეკუთვნის, და მისი იარაღიც—სტამბის ხელოვნება სასურველათ ვერ არის ტეხნიკის მხრივ განვითარებული და შესწავლილი, რის გამოც დიდი დაბრკოლება ეძლევა ყოველ ბეჭდვითი გამოცემის.

ჩვენი სტამბები უმეტეს ნაწილათ არიან მოთავსებული ნოტიო და ბნელ სარდაფებში, არ არის მათში სასურველი წეს-რიგი და არც სისტემა ბეჭდვითი ხელოვნების შესწავლაში. სტამბის შკოლები ჯერ-ჯერობით მარტო სატახტო ქალაქებშია—პეტერბურგში და მოსკოვში. სტამბის მომუშავე მატერიალურათ არ არის უზრუნველ-ყოფილი და დიდ გაჭირვებას იტანს. სტამბების ანტისანიტარული მდგომარეობა, ტყვიის ატმოსფერაში ხანგრძლივი მუშაობა და მომუშავის მატერიალური სივიწროე ძალიან ცუდათ მოქმედობს უკანასკნელის სიმრთელეზე, და აქედან წარმოდგება ის, რომ, როგორც ექიმების მიერ დამტკიცებულია, სხვა წარმოებათა მუშებთან შედარებით სტამბის მუშები ბევრათ მეტი იხოცებიან ტლექით (არა ნაკლები 60%).

სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ სტამბის მომუშავის ეგრეთ უნუგეშო მდგომარეობას არ აქცევენ ყურადღებას თვით პრესის წარმომადგენელნი. თუმცა კი ისინი მუდამ ქადაგებენ: „ექიმთ და ბუნების-მეტყველთ კრებამ დიდი ხანია დაადგინა, რომ არც ერთი მუშა დღეში რვა საათზე მეტს არ უნდა მუშაობდეს; დღე და ღამე—24 საათი—უნდა იყოს განაწილებული ამნაირათ: 8 საათი მუშაობა, 8 საათი მოსვენება და 8 საათიც გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, ოჯახური საჭიროება, აზრიანი გართობა და სხვა; კვირაობით მუშაობა უნდა აღიკრძალოს; საჭიროა ყოველი მუშა მატერიალურათ უზრუნველ-ყოფილი იქმნეს; ყოველ მუშას ხელს უნდა უწყობდეს თავისუფალი დრო და სხვა პირობები გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაში; მეტი მუშაობა ბადებს დაქანცვას, დაქანცული მუშა კი რიგიანათ თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს; მუშები ამგვარ ანტიჰიგიენურ პირობებში სნეულდებიან, და მათი ავათმყოფობა შთამომავლობაზე გადადის და ამნაირათ საზოგადოებას უმზადებენ სუსტ და ავათმყოფ მუშებს; მუშათა უნუგეშო მდგომარეობა აგრეთვე ბადებს და ავრცელებს ლოთობას“. თვითონ კი ბბ. გამომცემლები და რედაქტორები ამუშაკებენ სტამბებში მომუშავეთ ყოველ კვირა დღეს, და ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ თვით იმ სტატიას, რომელშიდაც რედაქცია რვა საათის სამუშაო დღეს ქადაგებს, მშიერი და დაქანცული ასოთა-აწყობი აწყობს ღამის პირველ საათზე—თავის სამუშაო დღის მეთექვსმეტე საათზე, და უფრო გვიანაც.

ამიტომ მე აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია, რომ მოსავალ 200 წლის ბეჭდვითი სიტყვის იუბილეს დღესასწაულზე უმთავრესი ყურადღება იქნეს მიქცეული სტამბისა და მის მომუშავის მდგომარეობაზე: 1) ამოტანილ იქნენ სტამბები ნოტიო და ბნელ სარდაფებიდან; 2) შეადგინონ საზოგადო გეგმა სტამბის შენობისა, რომელიც შეესაბამებოდეს როგორც სტამბის ხელოვნებას, ისე ჰიგიენურ მოთხოვნილებებს, ე. ი., იყოს საკმაო წმინდა ჰაერი, სინათლე, და სივრცე; 3) გამოირკვეს ნორმალური ტაქსა სტამბის მუშაობაზე, მოისპოს სტამბებში პერიოდულ გამოცემებზე კვირაობით (კვირაობით დასვენება თვით ჟურნალისტებისთვისაც აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს) მუშაობა... 4) გაიხსნას ქალაქებში სპეციალური სასწავლებლები სტამბის ხელოვნებისა და სადაც ეს ჯერ-ჯერობით მოსახერხებელი არ არის, დაწესდეს სტამბის მომუშავეთათვის საღამოობით ან კვირაობით კურსები, სადაც იმათ საშუალება მიეცემათ შეისწავლონ წერა-კითხვა და უმთავრესი სპეციალური კითხვები მაინც სტამბის ხელოვნებისა; 5) გაიხსნას სტამბის მომუშავეთათვის სასადილო სამკითხველოთურთ, სადაც რედაქციები გაუგზავნიან თავის გამოცემებს; 6) დაწესდეს, სადაც არ არის, საურთიერთო შეწეობის საზოგადოება ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა; 7) მოიყვანონ სისრულეში ჟურნალისტების მსოფლიო კრების დადგენილება, რომ კორექტორები გაეცნონ მეტრანპაჟის ხელოვნებას.

ეს ზომები დიდათ წაწევს წინ ბეჭდვითი საქმეს ჩვენში.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲝᲖᲒᲝᲬᲔᲑᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ.

(ვუძღვნი აკაკის).

მას აქეთ ოც და ათი წელიწადი იქნება: აკაკის პირველათ თავ. სიკო წერეთლის ოჯახში შეეხვდი. იმ ხანებში აკაკი ქვეყნის ყბაში იყო ჩავარდნილი. ყველგან იმაზე ლაპარაკობდენ. ისეთს ძვირათ ვისმე ნახავდით, რომ იმაზე ან მის ნათქვამ-ნამოქმედრათ არა გადმოეცა რა. მაგრამ არაფერს კი მისთანა განგაში არ გამოუწვევია მის შესახებ, როგორც ქვა-გუნდის, ე. ი. შავი ქვის ამბავს: სოფლათ ხმა გავარდა, აკაკი ამბობსო: ქვა-გუნდა სასარგებლო მადნეულია, ქვეყნისთვის გამოსადეგი და ოქროთ შეიძლება მაგისი გადაცვლაო. ყველას ძალიან უკვირდა. ამ დღესაც აკაკიმ შავ-ქვაზე ჩამოაგდო სიტყვა და ყველამ ყურები ცქვიტა: შემოეხვიენ გარს, დაუწყეს აქეთ-იქიდან გამოკითხვა და ისიც ბევრ რამეს ამბობდა ქვა-გუნდის სარგებლობის შესახებ. ტყუილათ კი არ არის ნათქვამი: ,,იმერელს ორი თვალი მიტომ აქვს, რომ ერთი მარჯვნით აპარპალოს და იმავე დროს მეორე მარცხნითო‘‘! ყურს უგდებდენ მის სიტყვას, ვითომ კიდეც სჯეროდათ, მაგრამ იმავე დროს ერთი მეორეს ანიშნებდენ: სტყუის, აბა, რას დაგვიჯერებსო?

დამსწრეთა რიცხვში ერია ერთი მოხუცი თ. მ. წერეთელი, ოდესმე სამხედრო სამსახურში ნამყოფი,—ერმოლოვის დროს გვარში გონიერ კაცათ ითვლებოდა. ჩუმი კაცი იყო, ,,ოტას მოლაპარაკე, მაგრამ როკა რამ არ მოეწონებოდა ხოლმე, თითებს უბარტყუნებდა სადმე, რომ ბარაბანის ხმა გამოეყვანა და თანაც მარშს უსტვენდა. ახლაც ეტყობოდა რომ, გული მოსდიოდა აკაკიზე. აქვე თავზე ადგა მოურავი,—დიდი გამოქჩილი მსახური... შეატყო, ბატონს არ მოსწონსო და, რომ ესიამოვნებია, ჩაერია ისიც მუსაიფში და შეეკითხა აკაკის:

კი, ბატონო, ეგ ყველა-ყველა, მაგრამ გატანას გზა არ უნდაო? რგანში, მღვიმეში, წირქვალში და მიდამოებში ასეთი კლდეები და ოღრო-ჩოღროებია, რომ, ქათამს თუ ფეხი გადაუცდა, კისერს მოიტეხს, და იქიდან ამ ოხერ შავ-ქვას ვინღა გამოზიდავს?

— რკინის გზა!.. უპასუხა აკაკიმ.—ამ სიტყვამ დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია და ერმოლოვთან ნამსახურმა მოხუცმაც, ეტყობოდა, მეტი ველარ მოითმინა და დაცინვით ჩაილაპარაკა: შენი მტერია, თუ მართლა რკინის გზა მოგვივიდა და ჩვეულებრივათ დაუსტვინა ხოლმე, პაპუნას საქმე

წახდეს: ე კურდღლებს კი დაგვიფრთხობს და მერე ხომ მოსცდებიან მწევარ-მეძებრებიო? ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი, აკაკიმაც გადიხარხარა და თქვა: განა მარტო კურდღლებსო: მე იმედი მაქვს, მწყრებსაც დაგიფრთხობთო! სიცილითვე გამოგვეთხოვა ყველას და გაგვშორდა. გამოთხოვების დროს გადმოგვცა, წირქვალში მივდივარ, ფრანცუზები მიმყავს სანახავათო.

ჯერ ეზოც არ ექნებოდა გავლილი, რომ დიდმა და პატარამ, ყველამ მაზე დაიწყო ლაპარაკი. ყაყანი დიდხანს გასტანდა, რომ სუფრაზე არ დამსხდარიყვენ. გაიმართა მოლხენა, შეიქნა ჩვეულებრივი ტრიალი ყანწ-აზარფეშის. ტოლუმბაშმა ოხუნჯობას მიყო ხელი და ყველას სადღეგრძელოს ასე ათავებდა: ,,მანამდი არა გეტკინოსთ-რა, სანამდი ჩვენში რკინის გზა არ მოვიდესო‟. ასე გასინჯეთ, ერთმა იქ დამსწრე მღვდელმაც-კი იოხუნჯა: ,,ბატონო, ხომ დევიღუპეთ მაშინ ჩვენ—აღარც საწირავი გვერგება და აღარც წესის გადასახდელიო!..‟

მე არ მჯერა,—წამოიძახა ერმოლოვის ნამსახურმა,—და თუ ვინმე თქვენგანს სჯერა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მე არც ხელის შემშლელი ვიქნები და არც ხელის შემწყობი!... პირიქით, ოღონდ კი მაგან რამე გააკეთოს და ღმერთმა საკუთრათ მაგასვე მოახმაროს,—ჩვენ არ შევეცილებით. ოღონდ ამ შავი ქვისგან გაგვწმინდოს, პურს რომ გვიშავებს და გვიფუჭებს, და ოქრო მაგისი იყოს!—სულ მიმირთმევია, რაც ჩემსაში შავი ქვა იყოს. თუ შევეცილო, რაც შენი ბარძიმი მოგიბრუნებია, იმის მადლი გამიწყრეს და ამომეწყვიტოს ცოლ-შვილი.

ამგვარათ თანდათან საუბარი ღვინო ნასვამზე გამწვავდა და, ვინ იცის, სადამდი მიაღწევდა, რომ ერთ ქალულ აბაშიძეს, გვარში გამოჩენილ აზნაურშვილს, არ დაეყვირა: ამოვარდეს ეგ რაღაც საეშმაკო შავი ქვაა და მაგისი მომგონიცა. რა დროს მაგაზე ლაპარაკია? წყურვილით ხახა გვიშრება და ღვინო დაგვალევინეთო!—ამან მართლა იმოქმედა და გაჩადდა სმა...

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს. ერთხელ ჩვენი სახლიკაცის გოგო ამოვიდა ჩვენსას და გვითხრა: აკაკი წერეთელი მოსულა, ვიღაც ინჟინრები მოუყვანია და ზურაბა ვაშაძისას ჩამომხტარანო. მე მაშინვე გავექანე იქითკენ. ორი ვიღაც ფრანგი და ინჟინერი მხლებლებით მართლა წასულიყვენ შავი ქვის საჩხრეკათ და აკაკი, რადგანაც გზაში ცოტათი ფეხი ელრძო, ვეღარ გაყოლოდა სხვებს და ზურაბისას დარჩენილიყო. დამინახა თუ არა, მიცნო, მომისვა გვერდით, დამიწყო გამოკითხვა აქეთურის-იქითურისა და მალე ისე მომყნდო, რომ თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვყოფილიყავით, გული გავუხსენით ერთმანეთს და მე სხვათა შორის არა თუ ჩემი საკუთარი აზრი, ისიც კი აღარ დავუფარე, თუ სხვები რას ფიქრობდენ და ან ამბობდენ მის შესახებ. გაიცინა და მითხრა:

— მერე რა გიკვირს? ეგ ცხოვრების კანონია! უმეცრებასა და ცოდნას ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთად როდის უვლიათ? ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან ხოლმე. თუ შეგინიშნავს, პატარა ტანის კაცები ფეხსაცმელს მაღალ ქუსლებს უკეთებენ, ქუდზე დგებიან და იჭიმებიან, რომ ჩვენც გამოვჩნდეთო. ცხოვრებაში ყველგან ასეა, ვისაც რა აკლია, იმას იჩემებს, თავსაც იტყუებს და სხვებსაც ატყუებს: აი, შემომხედეთ, არა მაკლია-რაო. უმეცრება და უჭკუობაც სწორეთ ასე იქცევა, თავს მაღლა იღებს და ხმა მაღლა გაიძახის იმას, რაც მხოლოთ გონია და მისი მგონიაობა კი დღე-ნაკლულია მას უკან,—განაგრძო მან ცოტა სიჩუმის შემდეგ,—რაღაი კი ჩვენი სვებედი სხვას მივანდევეთ და ჩავუდევით თავი კალთაში, ცოტა არ იყოს, ძილმა წაგვილო და აღარას ვფიქრობთ, სხვების შემჩერე ვართ, სამოწყალოზე გამოსული, და ხომ გახსოვს ,,სიბრძნე-სიცრუის‟ მდიდარი საყვარლის დასამტკიცებლათ რომ მათხოვრათ გამოვიდა და მერე ვეღარ მოახერხა გადაჩვევა. ჩვენც ასე მოგვივა, თუ თავს არ ვუშველეთ. ჩვენი წინაპრებისა არ იყოს, ჩვენვე უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი თავისთვის, მხოლოთ დრო და ჟამის მიხედვით იარაღიც შესაფერი უნდა ვიხმაროთ. მაშინ გარეშე მტრებს ვიგერებდით, ახლა შინაურ უმეცრებას უნდა ვებრძოლოთ. მაშინ მახვილი იყო საჭირო და დღეს კი ქონება. ხმლის ადგილი ფულმა დაიჭირა. ,,კი, მაგრამ სადა გვაქვს ეს სიმდიდრე და შეძლება, რომ ვიმოქმედოთ‟, ამბობენ ჩვენები, მაგრამ ეს შეცდომაა და გონების სიბრმავე. ამ მხრითაც ვერას ვუსაყვედურებთ ჩვენ მამებს!—დიდ-ძალი ქონება დაუტოვებიათ ჩვენთვის. ეს ამდენი მიწა-წყალი, ტყე და ველი, მთა და ბარი რა არის, თუ არ სიმდიდრე? და ჩვენ რომ მოხმარება არ ვიცოდეთ, მათი რა ბრალია? განა ცოტა სიმდიდრეა ამ ბუნებაში ჩამარხული? ჩვენი მიწა-წყალის ჯერ ზედაპირიც არა გვაქვს გაცნობილი, თვარა შუაგულში როგორ ჩავიხედავდით, სადაც ქვეყნის სიმდიდრე მარხია?—ერთი ამათგანია ეს შავი ქვაც, რომელიც უცხოეთში საალებ-მიცემო ბაზარს ხელში საკუთრათ ჩაიგდებს, მეტიქე რომ არ ეყოლება. ეს სიმდიდრე, როგორც კი გამოცხადდება, თავს იჩენს და თვითონვე თავის თავათ მოიწვევს მრეწველ კაპიტალისტებს, ისე, როგორც ნაქები საპატარძლო სასიძოებს! დატრიალდება დიდ-ძალი ფული, სულ უცხოეთიდან შემოტანილი. მუშები იქნება საჭირო, ჩალვადრები და დღეს რომ ჩვენი ხალხი გროშის შესაძენათ ცხრა მთას იქით გარბის, მაშინ შინ ექნება სამუშაო. გაიმართება ქარხნები, გაჩნდება ასი და ათასი სხვა და სხვა ადგილები და დღეს რომ ჩვენი ახალთაობა დღიური საზრდოს გულისთვის, ვინ იცის, სად არის გადაკარგული, თავის სამშობლოშივე დარჩება და, ნებით რომ არ უნდოდეს, უნებურათ მაინც გაუწევს თავის ქვეყანას სამსახურს: დამერწმუნე, რომ აქ, სადაც დღეს ამ ღრო-ჩოღროებში ქათმები ფეხს იტეხენ, რკინის გზა შემორიხინდება; გამოიღვიძებს ეს მიძინებული კუთხე, შემოვა სიმდიდრე. სიმდიდრეს თან მოყვება სწავლა-განათლება. ამ მაგალითს სხვებიც მიბაძვენ, წახდეულობა სხვა კუთხეებშიაც გამოსძებნის სხვა და სხვა საქმეებს და ქვეყანა ფეხზე წამოდგება, გამაგრდება...

ამ გვარი რამეები ბევრი ილაპარაკა და მეც ასე მგონია, გუშინდელი ამბავია მეთქი, ასე დამებეჭდა გულის ფიცარზე. არა დამვიწყებია რა, მაგრამ ყველას ვინ გაიმეორებს აქ და ვიტყვი მხოლოთ კი, რომ მისმა ოცნებამ მეც მომხიბლა, გამიტაცა და მისი აღტაცება გადამედვა. დიდ ხანს მეც მოსვენება აღარ მქონდა, სულ ამ შავ-ქვაზე ვფიქრობდი დღე და ღამ და თვალ-ყურს ვადევნებდი მის ვითარებას.

ჩვენ ქვეყანას დღესაც ცუდი თვალით უყურებენ უცხოელები, თვარა იმ დროს ხომ საშინლოთ ქონდათ წარმოდგენილი და, რასაკვირველია, კომერსანტები ჩვენკენ არ იმოგზაურებდენ. მაგრამ მაინც ხან და ხან, ათასში ერთხელ, მოყავდა ხოლმე აკაკის ვიღაც-ვიღაც უცხოელები, რომ შავი ქვის მადნები დაეთვალიერებიათ. ერთი მათგანი კიდეც მოკლეს ავაზაკებმა ფოთში., და ამან ხომ სულ დააფრთხო ყველა. გაიარა რამდენიმე წელიწადმა და რუსეთიდან ჩამოვიდა აკაკის გამოგზავნილი ვიღაც მდიდარი ასტრიაკოვი. ეტყობოდა, რომ იმასაც კიდევ საშიშ ქვეყნათ მიაჩნდა ეს ჩვენი მხარე, რომ კავკავში გამოვლის დროს დაექირავებია ორმოც და ათი ყაზახი რუსი, ერთიც აფიცერი ფურმანი და ამ ჯარით ჩამოვიდა ჩვენში. ამის შემდეგ აკაკიც დაბრუნდა რუსეთიდან

და ზურაბა ვაშაძის მამული, რომელიც სანადელო იყო სალომე წერეთლის ქალისა, იჯარით აიღო და მუშაობა დაიწყო. დადგა ას საუენზე მეტი შავი ქვის ყორე და მერე გატანაც მოინდომა. რადგანაც სასოფლო გზა საცალფეხო იყო და არა საურმო, საჭირო იყო გზის გაკეთება, მაგრამ სხვა და სხვა ადგილის პატრონებმა ნება არ მისცეს და შეაჩერეს საქმე. ამის შემდეგ არ ვიცი, რა მოუვიდა და რა დაემართა,—აკაკი აღარ გვინახავს ჭიათურაში მოსული.

მხოლოთ ნახევარ წლის შემდეგ მოვიდა ივანე მუხრან-ბატონი, აკაკის ადგილზე დაიწყო მუშაობა და მისი ქვისაც ნელ-ნელა ზიდვა. რადგანაც გზა არც იმას გააყვანიეს, აქლემები ჩამოარეკინა და იმით გადაქონდა. ჩვენი სოფლელი ქალები და ბავშვები ჯერ თვითონ უფრთხოდენ ამ ახირებულ ოთხფეხს, მაგრამ მერე კი, რომ შეეჩვიენ, პირ იქით აფრთხობდენ და ბევრიც გადაჩეხეს კლდეებზე. სხვა და სხვა დაბრკოლების მიზეზით მუხრან-ბატონმაც ხელი აიღო და ამბობენ დიდ ძალი ფული კი ჩაყარაო.

გავიდა კიდევ დიდი ხანი და იმ აფიცერმა ფურმანმა ადრე რომ ასტრიაკოვს მოყვა, ჩამოიყვანა ვიღაც მერცენ-ფელდი. იმან დაიწყო სხვა ადგილზე მუშაობა. მაგრამ ისიც გაკოტრდა და გაუდგა გზას. ამ პირველი ნაბიჯების შემდეგ განვლო რამდენიმე წელიწადმა,—გაჩნდენ კიდევ სხვებიც: სოლილაკები, ავგერინოები, ლიმბერგერები, ჩუბინიძე, მოსეშვილები და სხვანი, და გაჩაღდა ნელ-ნელა საქმე. დღეს იქ, აკაკის თქმისა არ იყოს, სადაც ქათმები კისრებს იტეხდენ, რკინის გზაა გაყვანილი. სადაც მხოლოთ ბაყაყები ყიყინებდენ,—სხვა და სხვა ენებზე მოსაუბრე ხალხი ფუსფუსებს. კლდეებზე სახლები გამოჭიმეს, გამრავლდენ მუშები, ჩალვადრები, გაიმართა დუქნები, მაღაზიები და სხვანი.

ერთი სიტყვით, აკაკის წინასწარმეტყველება ასრულდა, მაგრამ მხოლოთ პირველ ნახევრის შესახებ. და რაც შეეხება იმ მეორე საოცნებო ნახევარს, რომ ჩვენი ქვეყანა გამდიდრდება, ხალხი განათლდება, ზნეობითაც ამაღლდებაო,—ეს კი ტყუილი გამოდგა. პირიქით, მიუხედავათ იმისა, რომ ხალხში სამი მილიონი რჩება, შორაპნის მაზრა გაღარიბდა და ხალხიც ზნეობრივათ დაეცა. ისეთ რამეებსა ხედავთ, რაც არასოდეს არ ნახულა.—საკუთრათ ჩვენი მხრისთვის, დღევანდელ ჭიათურას ენება მეტი მოაქვს ვიდრე სარგებლობა, და ნეტაკი რას ფიქრობს და რა აზრის არის აკაკი, რომელიც ეს ამდენი ხანია ჭიათურაში თვალით აღარ გვინახავს. ნუ თუ წინანდელი მისი აღტაცება და მისწრაფება მართლა ოცნება და შეცდომა იყო?!

ძველი სემინარიელი.

ქურნალ-გაზეთებიდან.

ერთი მწერალი ამბობს, ადამიანის გონებას საშინელ ცილს სწამებენ, როცა ამბობენ, რომ იგი კაცობრიობის წინმსვლელობის შემქნელია, საზოგადოებრივ ცხოვრების გემგებელიაო. ნუ შეურაცხყოფთ გონებას, შეიბრალეთ იგი, ნუ სდებთ შარს, მოაშორეთ ცილისწამება, რადგან მას ეს დანაშაული არ მიუძღვის, იგი პროგრესის, წინმსვლელობის მომხრე და მოტრფიალე არ არისო. ადამიანის გონება ბუნებით უმოძრაოა, ,,რეტროგრადია'', რეაქციონერია, ყველაფერს ებღაუჭება, ყოველგვარი ცვლილება და ახალი წყობილება ეჯავრება, წინ ხედვის მაგიერ იგი მუდამ უკან იხედებაო.

უნებურათ გამახსენდა ეს მწერალი და მისი შეხედულება ადამიანის გონებაზე, როცა გაზეთში წავიკითხე თერგის ოლქის სამეურნეო კომიტეტის გარდაწყვეტილება. როგორც მოგეხსენებათ, დღეს რუსეთის იმპერიაში სამეურნეო კომიტეტებია დაარსებული სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა გამოსაკვლევათ. და, აი, ამავე საგანზე უთათბირია თერგის ოლქის კომიტეტსაც და დაუდგენია, იცით, რა? ,,ქართველი გლეხ-მოფიქრებას მე და შენ, მკითხველო, ვითარცა ულალატო მაკვდავნი, თავის დღეში ვერ მოვახერხებდით. დაუდგენია, რომ ხალხის დაცემულ მეურნეობის აღდგენა და აყვავება პოლიციას და ჯარს შეუძლიაო!... ვიცი, არ გჯერათ, რადგან თქვენც ცილის მწამებელი ხართ ადამიანის გონებისა, მაშ აი, ყური დაუგდეთ, რას წერს ბ-ნი Yox-ი გაზეთ ,,Баку''-ში (№29). თერგის ოლქის კომიტეტმა საჭიროთ დაინახა 1) მოუმატოს პოლიციის შტატებს, 2) ადმინისტრაციის განკარგულებით მოხდეს დამნაშავეთა გადასახლება, 3) ყველა მკვიდრი ჯარის კაცათ იყოს გაწვეული და 4) სოფლებში ჯარი ჩააყენონ.

ამგვარათ, განაგრძობს ბ-ნი Yox-ი, თერგის ოლქში მეურნეობის ასაყვავებლათ საჭირო ყოფილა, კომიტეტის აზრით, პოლიციის გაძლიერება, გადასახლება, სატუსაღოები და ზოგიერთ შემთხვევაში ჯარიც...

რა მიზეზია, რომ ამგვარი საარაკო რამ არც ერთს კომიტეტს არ წარმოუთქვამს რუსეთში? იქაც ხომ ქურდობენ, იქაც ხომ იპარვენ ცხენს, ძროხას, ხარს და სხ.

ადამიანი იპარავს პირუტყვს, იპარავს ცხენს, იპარავს იმისთვის, რომ არ გააჩნია არც ცხენი და არც ხარი. იპარვენ იმისთვის, რომ არაფერი აქვთ საჭმელი. ეს ცხადზე უცხადესია. რომ ქურდობაც საძაგლობაა—ესეც ცხადია. რამდენათაც გაჭირვება ძლიერია, იმდენათ მეტი ადამიანი რჩება მშიერი,—იმდენათ მეტია ქურდობა და ცარცვა-გლეჯა. ყველაფერი ეს იმდენათ ნათელია, იმდენათ ცხადია, რომ მე მრცხვენიან, როცა ამაზე ვლაპარაკობ..,

არც ერთი ამიერ-კავკასიის კომიტეტი იმ სიბრძნემდე არ მისულა, სადამდეც მივიდა თერგის კომიტეტი. მე მრწამს, რომ მის დადგენილებას ცხოვრებაში ნიადაგი არ ექნება. მართალია, შეიძლება ამიერ-კავკასიის გულის სიღრმეშიაც ბევრი რამ სიდუხჭირე იყოს დარჩენილი ძველის დროისა. მაგრამ მის აღმოსაფხვრელათ ციხეები და გადასახლება ვერ გამოგვადგება. ყველა ეს ძველი ჩვეულებანი ახალის ცხოვრების გავლენით თავის თავათ გაქრება ახალ კულტურული ცხოვრებით, რომელზედაც აღმოცენდება მოქალაქობრიობა და კანონიერება. დღესაც, ჩვენ თვალწინ ხდება ამ ძველის დანგრევა და ახალის აშენება; დაე, ეს პროცესი ნელი იყოს, ძლივს შესამჩნეველი, მხოლოთ კი არსებობდეს. ხალხის შეგნება თანდათან წინ მიდის, კანონიერება და წესიერება თანდათან ფესვს იდგამს ხალხის ცხოვრებაში.

მომავალი ახალი ცხოვრებისაა.

ბ-ნ Vox--ის სიტყვებს ჩვენი მხრით განმარტება აღარ ესაჭიროება, ისინი თავისთავათაც ნათელი და გასაგებია ყველასათვის, გარდა თერგის ოლქის კომიტეტისა, რასაკვირველია. ეს უკანასკნელი სულ სხვა აზრისაა. . რის განათლება, რის თავისუფლება კერძო ინიციატივის განვითარებისთვის, რის თავის მტვრევა ეკონომიურ კითხვების გარკვევისათვის,—რა საჭიროა ყველა ეს, როცა საგანი მარტივზე უმარტივესია: გააძლიერეთ მხოლოთ პოლიცია, გაამრავლეთ საპყრობილეები და—აშენდება ქვეყანა...,,გორრროდოვოი!..''

მოდი და ნუ დაეთანხმები ამის შემდეგ ზემოხსენებულ მწერალს, რომ ადამიანის გონება ბუნებით ზანტი და კონსერვატორიაო!..

* * *

მაგრამ არა, ყველა ხალხის გონება არ არის ზანტი, არ არის კონსერვატორი და ისიც—გლახა კონსერვატორი. მე ვამტკიცებ, რომ, მაგალ., ჩვენი ქართველური გონება მეტათ

მოძრავი, გამჭრიახი და წინმსვლელობის მოტრფიალეა. იგი ბუნებით კონსერვატორი კი არა, რადიკალია, ახალი, მოწინავე აზრების წარმომშობია.

მე ამ აზრში დამარწმუნა იმ ახალმა ,,სოციოლოგიამ'', რომელიც შექნა ამ დღეებში ერთმა ჩვენმა ღრმა მეცნიერებით აღვსილმა თანამემამულემ, მ. ტფილისელათ წოდებულმა. მან დასტამბა გაზეთ ,,ივერიაში'' (№ 252) ერთი ,,მეცნიერული გამოკვლევა'', რომელსაც სათაურათ ,,სოფელი და სოფლელნი'' აწერია და რომელიც, ევროპამ თუ გაიცნო, უეჭველია, დიდ სახელს მოუხვეჭს მთლათ ქართველობას და განსაკუთრებით ქართველურ გონების გამჭრიახობას.

არ იფიქროთ, რომ ტფილისელის ,,გამოკვლევა'' თეორიული ხასიათისა იყოს. არა, ავტორს არ უყვარს თეორია. ამას იგი არ მალავს და საჯაროთ ამბობს: ,,სრულიად უალაგოდ მიმაჩნია თეორეტიული ბაასი... თეორეტიული სჯა და ბაასი შეუძლიანთ და შეჰფერით მხოლოდ იმ მეცნიერთ და პუბლიცისტებს, რომელნიც სრულ სხვა განათლებულ ქვეყნების შვილნი არიან. რა ჩვენი საქმეა იმათი წაბაძკა? ჩკენს და იმათ შორის დიდი ზღვარი ძევს.'' ოღონდაც...

დიაღ, ბ-ნი ტფილისელი თეორიას ხელს არ კიდებს, განყენებულათ არ მსჯელობს. ასე ამბობს თვითონ ის და ისევე ვიმეორებთ ჩვენც. იგი უკვირდება ისტორიულ სინამდვილეს და იქიდან გამოაქვს ისტორიული ჭეშმარიტება, მხოლოთ ჭეშმარიტება და ამაზე სწნავს თავის ახალ ,,სოციოლოგიას''.

ამ ,,სოციოლოგიაში'' ბევრი საყურადღებო აზრია გაპნეული, მაგრამ ჩვენ მხოლოთ მის მთავარ აზრს მოვიხსენიებთ და იმასაც თვით ბ-ნ ტფილისელის საკუთარი სიტყვებით.

«ვინ იყო, ან რა ძალა იყო ის ძალა, კითხულობს ბ-ნი ტფილისელი, რომლითაც საქართველოს განცალკევებულნი ჯგუფნი შეერთდებოდნენ ხოლმე და მედგრად ებრძოდნენ საქართველოს გარეშე მტერს? მაშ, ვინ დაიცვა საქართველოს ტერიტორია, ენა, სარწმუნოება? ვინ შეჰქმნა საქართველოს თავისებური კულტურა, ლიტერატურა?

ეს ძალთა-ძალა იყო, გვაძლევს პასუხათ იგივე ბ-ნი ტფილისელი—თავად-აზნაურობა. საქართველოში თავად-აზნაურობა რომ არა ყოფილიყო, დღემდე არც არავითარი ეროვნული კულტურა, ლიტერატურა, ხასიათი არ იქნებოდა და მთელი ჩვენი ხალხი წარმოადგენდა მარტო ჯგუფს. რომელსაც ერად არავინ ჩასთვლიდა. ჩვენში მარტო თავად-აზნაურობას და მის ღვიძლ-ძმას სასულიერო წოდებას ჰქონდა შეგნებული, რა იყო საერო სამშობლო, საერო ლიტერატურა; მთელ თავის ძალ-ღონეს ამის დაცვას ანდომებდა. თავადაზნაურობის და სამღვდელოების უმრავლესობა იყო გამსჭვალული მამულის შვილურის, პატრიოტულის გრძნობით; მას სწამდა მხოლოდ ერთად ერთი ქართული კულტურა, სარწმუნოება, ენა. .

დღესაც თავად-აზნაურობის უმრავლესობა და საუკეთესო წარმომადგენელნი იმავე პატრიოტულის გრძნობით არის გამსჭვალული და ამიტომ, თუ ხალხმა თანაუგრძნო, დიდ კულტურულს და ეკონომიურს ძალას წარმოადგენს".

ერთი სიტყვით, ბ-ნ ტფილისელის აზრით, ჩვენი თავადაზნაურობა ნაციონალურ იდეის მატარებელი იყო წარსულში და ასეთივეა იგი აწმყოშიაც. იგი მუდამ ცდილობდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების გაერთიანებისთვის კულტურულათ, პოლიტიკურათ, ეკონომიურათ. ცდილობდა ყოფილიყო ერთნაირი ენა, სარწმუნოება, ზნე-ჩვეულება, საერთო წეს-წყობილება და განვითარება.

.უეჭველია, ჩვენს მკითხველს გააოცებს ავტორის ასეთი დასკვნა, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ მისი გაოცები არაფერის დამამტკიცებელი არაა. ოცდება ის, რადგან არ იცის ჩვენი ისტორია, ხოლო ბ-ნმა ტფილისელმა იცის, ,,ბუკი სათითაოთ იცის.

— მაინც როგორ მოხდა ეს,—უთუოთ არ ცხრება მკითხველი,—როგორ მოხდა, რომ წარსულში ჩვენი თავად-აზნაურობა იბრძოდა ჩვენი ეროვნული ერთობისთვის და ერთობა კი მაინც ვერ განახორციელა, ვინ ან რამ შეუშალა ხელი?

აი, რას ნიშნავს უვიცობა! რას არ აკითხვიებს კაცს! ვინ შეუშალა და—ქართველმა ხალხმა, ქართველმა გლეხობამ.. დიახ. გლეხობამ. ასე, სწორეთ ასე მოგახსენებთ ბ-ნი ტფილისელი. აჰა აქაც მისი საკუთარი სიტყვები:

„ჩვენ ხალხს მეტის-მეტად უყვარს ის კუთხე, სოფელი, მხარე, სადაც დაბადებულა. ამ თავის გამოგონილს სათაყვანო სამშობლოს სუყველაფერს ანაცვალებს—თავის ოჯახს, კეთილდღეობას, ნივთიერ ძალ-ღონეს და თვით საერო ნამდვილ სამშობლოსაც, რომლისადმი ძალიან მცირე სიყვარული აქვს. ამ საუბედურო გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში და დღესაც დიდი გავლენა აქვს და დიდად უშლის ჩვენს ხალხს ეკონომიურად გაძლიერებას.

როგორც წარსულში გლეხ-კაცობამ ვერ შეითვისა და ვერ ჩაინერგა გულში ეროვნული გრძნობა და საერო სამშობლოს სიყვარული, ისე დღეს სამშობლოსადმი სიყვარულით არ უღვივის გული და ამ დიდებულის გრძნობით არ არის გაცხნევებული და აღფრთოვანებული".

ამგვარათ, ქართველ გლეხობაში არ იყო სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა გაღვივებული და ამიტომ ქართველმა თავად-აზნაურობამაც ვერ განახორციელა საქართველოს გაერთიანება. და არ ქონდა ქართველ გლეხს სამშობლოს სიყვარული იმიტომ, რომ მას უყვარდა თავისი ვიწრო სოფელი, კუთხე, არ იყო მოძრავი, არ სახლდებოდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, ერთი სიტყვით არ იცვლიდა ხშირათ თავის ძველ ბინას, არ ქონდა მსვლელობა სხვა კუთხეების ქართველებთან, და, რასაკვირველია, რახან მუდამ ერთ და იმავე ადგილზე იყო გაჩერებული, ამიტომ სხვა კუთხის ქართველები უცხოებათ მიაჩნდა და მათთან საერთოს არაფერს ხედიდა.

ჩვენ გაგვიგონია, რომ ძველათ გლეხები ბატონების ყმები იყვენო, რომ ეს ბატონები, ე. ი. თავად-აზნაურნი ყმებს ახირებულათ არ იშორებდენო, რომ გლეხებს თავისუფლათ გადასახლ-გადმოსახლება არ შეეძლოთო. არ ვიცი, რს მართალია თუ არა. ჩვენ, ვითარცა არა ისტორიკოსნი, ამაზე ვერაფერს ვიტვით ბ-ნი თფილისელი კი, რომელიც კარგი მცოდნეა ჩვენი ისტორიისა, გლეხობას უმოძრაობას უსაყვედურებს. ჩვენს გლეხებს თავისუფლათ შეეძლოთ ძველათ ბინის გამოცვლა და გადასახლ-გადმოსახლება. ისინი თავისუფალნი იყვენ და ბატონ-ყმობა მოგონილი ყოფილა. ამას ამბობს ისტორიის საფუძვლიანათ მცოდნე კაცი და ჩვენ, პროფანებმა, აბა როგორ არ უნდა დავუჯეროთ.

ამ სახით ჩვენ გავიგეთ ქართველ გლეხობის უპატრიოტობის მიზეზი. ეს მიზეზი ყოფილა გლეხობის მუდამ ერთ ადგილას გაჩერება, უმოძრაობა.

ბ-ნი ტფილისელი არ ,,ვიხსნის, თუ რა იყო მიზეზი თავად-აზნაურობის პატრიოტობისა, სამშობლოს სიყვარულისა. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ, თუ გლეხების უპატრიოტობის მიზეზი უმოძრაობა იყო, თავად-აზნაურობის ნაციონალისტობისა, მისი ეროვნული მიმართულების და განუწყვეტელ მოღვაწეობის მიზეზი თვით ამ თავად-აზნაურობის მოძრაობა, ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეების ფეოდალთა ერთმა-

ნეთში მსვლელობა და კავშირი უნდა ყოფილიყო. ეს აზრი ლოღიკური დასკვნაა ბ-ნ ტფილისელის მსჯელობიდან. გლეხი არ შორდებოდა თავის სოფლის მიწა-წყალს; ამიტომ იგი ანტიპატრიოტული გრძნობებით იყო გამსჭვალული. თავადი თუ აზნაური-კი ასე არ ცხოვრობდა,—იგი მუდამ მოძრაობაში, მუდამ მსვლელობაში იყო, ამიტომაც სხვა და სხვა კუთხეების თავად-აზნაურობას და ხალხსაც უცხოებათ არ სთვლიდა,—თავისიანებათ, ქართველებათ მიაჩნდა და ცდილობდა კიდეც ყველა მხარეების გაერთიანებას.

თქვენ, მკითხველო ჩემო, უეჭველია ასეთი მსჯელობის გამო მხრებს აიწევთ და გაკვირვების ნიშნათ თავს გაიქნევთ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ამით ბ-ნ ტფილისელის მეცნიერულ მოსაზრებას არა აკლდება-რა, რადგან ჭეშმარიტება შეურყეველია და მას ვერც თავისა და ვერც ფეხების ქნევა ვერ გააქანებს.

დიახ, ჩვენი თავად-აზნაურობა მუდამ მოძრაობაში იყო; —თითოეული თავადი მარტო თვის სოფელს და შინა-წყალს არა-დროს არ სჯერდებოდა. განა მოძრაობა არ იყო ეს, რომ ერთი ფეოდალი მეორეს მიუვარდებოდა და ერთიანათ აიკლებდა მის სახლ-კარს, აიკლებდა მისი გლეხების კარ-მიდამოს და მეურნეობას, წამოიყვანდა ტყვეებს და თათრებზე ან სპარსელებზე ყიდდა? განა მოძრაობა და მოქმედება არ იყო ის, რომ საქართველოს თავადები თათრებში და სპარსელებში გავარდებოდენ და რომელიმე მეტოქე ფეოდალის ან მეფის ჯინზე უცხოეთის ლაშქარი მოყავდათ სამშობლოს ასაკლებათ? მტერი აოხრებდა მხარეს, ამკვიდრებდა თავის გავლენას, ენას, ზნე-ჩვეულებას. ასეთი მაგალითებით ხომ სავსეა საქართველოს ისტორია. და მერე ვინ იყო ის წოდება, რომელიც ყველაზე უმალ ითვისებდა უცხო ეტიკეტს, ენას, ჩაცმულობას, ზნესა და ხასიათს? რა თქმა უნდა, ისევ ის თავად-აზნაურობა, რადგან ის იყო ელემენტი მოძრავი და გამსჭვალული სამშობლოს ბედნიერების სურვილით. ლაპარაკობდა უცხო ენაზე, რადგან უნდოდა, რომ გამდიდრებულიყო უცხო სიტყვებით ქართული ენა, იღებდა უცხოეთის ზნე-ჩვეულებას, რადგან უნდოდა წმინდა ქართული კულტურის წინ წაწევა და განვითარება.

ბოდვააო, იტყვით თქვენ. თქვენი ნებაა! ბ-ნ ტფილისელის „სოციოლოგიიდან“ მეტი მე ვერა გამოვიტანე რა. ნამეტანი ღრმა აზროვანი «გამოკვლევაა»...

*
* *

აი, ასეთი სიბრძნე იბეჭდება ჩვენს მოხუც ,,ივერიაში‘‘. ადამიანზე კი ხშირათ იტყვიან: ხანში შევიდა, ჭკუა მოაკლდაო, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, არ მეგონა, თუ ეს აზრი გაზეთის შესახებაც გამართლდებოდა.

რას იზამთ, ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება მოულოდნელი და მიღებულ შეხედულების წინააღმდეგი. აი, ამისი კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ისევ ამ ჩვენ გონებით დალოლილ ,,ივერიას‘‘ შეეხება.

ვისაც უნდა კითხოთ, ყველა გეტყვით, რომ ადამიანი ხანდათან ეჩვევა ზრდილობიანათ და მართებულათ ქცევასო. ბავშვი მოურიდებელია, არ იცის ზრდილობიანი ქცევა-პასუხი. იზრდება, ხანში შედის და—ზრდილობასა და საზოგადოებაში წესიერათ ქცევასაც ეჩვევა. თითქოს ეს აზრი გაზეთის შესახებაც მართალი უნდა იყოს, თითქოს 25 წლის ხნიერ გაზეთს კი მოეთხოვება ზრდილობა და მართებულობა. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ,—ეს, იქნება, სხვა ყველა გაზეთზე მართალი იყოს, მაგრამ ,,ივერიაზე‘‘ კი არ არის და არ არის მართალი.

უკანასკნელ ხანებში ამ, უკაცრაული პასუხია, გაზეთმა ისეთი უწმაწური და უმსგავსო სიტყვა-პასუხი დაიჩემა, რომ ყოველ ცოტათ თუ ბევრათ ზრდილობიან და განათლებულ ადამიანს გულის რევას აუტეხს და უსაზღვრო ზიზღის გრძნობას გაუღვიძებს.

,,ცნობის ფურცლის‘‘ № 1985-ში ბ-ნმა პეტრე უმიკაშვილმა ერთი წერილი დაბეჭდა, რომელიც საქალებო სკოლის დაარსებას შეეხებოდა. ამ წერილისთვის ,,ივერიამ‘‘ ასეთ ნაირათ შეამკო ავტორი (№ 247): ,,დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ბ-ნმა პეტრე უმიკაშვილმა გამოიკუნტრუშა... პ. უმიკაშვილის სრული უაზრობა მკითხველთათვის ცხადზე-ცხადი შეიქმნა... პ. უმიკაშვილი თავის წერილში ქადაგად დაცემულ დედაკაცივით ჰბოდავს,—ყოველივე ეს ავტორის ბავშურ ტიტინის მეტი არა არის რა, იგი ავტორის თავის სიფუყეს გვიჩვენებს‘‘ და სხვა და სხვა.

წინა ნომერში (№ 246) ,,ივერიამ‘‘ ასე ,,გააპატიოსნა‘‘ ,,ცნ. ფურცლის‘‘ თანამშრომელი ბ-ნი სიტყვა:

,,ნუ თუ თქვენ ვერ გაგიგიათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ მე ,,ზაკაზით‘‘ ვწერ, რომ მე ამისათვის ფულს მაძლევენ, ფულს მაძლევენ! მაძლევენ იმისთვისა, რომ ან გაგაცინოთ, ან გატიროთ. მეუბნებიან, ,,ივერია‘‘ გალანძღეო, სომხები აქეო. მეც ვილანძღები, თუმცა ლანძღვა საზოგადოთ არ მიყვარს, ვაქებ იმათ, ვინც ჭირივით მეჯავრება. რას იქ? განა ყველაფერი ფულზე არ ტრიალებს?!. მე შემებრალა ბ-ნი სიტყვა‘‘... არც იქით, არც აქეთ—აქ ,,ივერია‘‘ ბ-ნ სიტყვას რწმენის და სინიდისის გაყიდვას სწამებს, ე. ი. იმის ფულზე გაცვლას, რაც უწმინდესი და უძვირფასესი უნდა იყოს ყოველ ადამიანისთვის. საბუთიო, იქნებ იკითხოთ. არ მიკვირს თქვენი გულუბრყვილობა! ,,ივერია‘‘ და საბუთი გაგონილა როდისმე?! № 256-ში იგივე ,,ივერია‘‘ ბ-ნ სიტყვას ჭკუაზე შეშლილს უწოდებს და ამბობს, სულით ავათმყოფთა თავშესაფარში უნდა გაიგზავნოსო.

№ 251-ში ერთი ახლათ არჩეული ქართველი ხმოსანი და ,,ცნობის ფურცლის‘‘ რედაქცია ამგვარათ ამოსვარა ტალახში იმავე ,,ივერიამ‘‘:

,,ჩამომავლობით ის ხმოსანია, ხელობით... ხელობა მრავალ გვარი და მრავალ ფეროვანი აქვს. ,,ცნობის ფურცელს‘‘ რო დაუჯეროთ, ახალი ხმოსანი პედაგოგია. იმერეთში ზოგიერთი მხედარი განთქმულია იმით, რომ ყოველ ნაირ ჯორს თოხარიკს ასწავლის. ეს ახალი ხმოსანიც ამ მხედარს წააგავს პედაგოგიაში. მან არა ერთი გასწვრთნა, გაალექსა და მისის წყალობით ყურს უტკბობენ მკითხველ საზოგადოებას! პედაგოგობიდან პირდაპირ პოლიციაში ამოჰყო თავი. სამსახურიც ძალიან მოსწონდა, მაგრამ მტერებმა არყიეს. მტერების შეშინებულმა მშვიდი ნავთსაყუდელი იპოვა ,,ცნ. ფურცელის‘‘ წმიდა მაგდალინას თავშესაფარში‘‘.

მოკლეთ რომ ვთქვათ, ,,ივერია‘‘ აქ ,,ცნობის ფურცლის‘‘ რედაქციას როსკიპების თავშესაფარს უწოდებს.

მგონი, რომ ამაზე უფრო ზდილობაზე და ყოველგვარ მართებულებაზე ხელის აღება აღარ შეიძლება. და ასეთ საზიზღრობას ჩადის ვინ? გაზეთი, რომელიც უნდა ცდილობდეს მკითხველებისთვის ადამიანის პიროვნების პატივისცემის სწავლებას, საზოგადოებაში ზნეობრივი სიწმინდე-სიფაქიზის გავრცელებას. ნაცვლათ ამისა კი აქ ვხედავთ პიროვნების მუდმივ დამცირებას, შეურაცხყოფას, ზნეობის გათახსირებას, ლანძღვას, პირმოხეულ, ქუჩურ ლანძღვას. ნუ თუ ეს შესაწყნარებელია? ნეტა რას გაჩუმებულან ,,ივერიის‘‘ მკითხველები? რატომ ხმას არ ამოიღებენ და არ მისცემენ თავაშვებულ რედაქციას ელემენტარულ ზრდილობის გაკვეთილს? ხომ ხედვენ, რომ იქ არ ჩნდება არც ერთი კაცი, რომელმაც შეაჩეროს ეს ნაკადული სიმყრალისა.

არის ერთი პატარა ცხოველი, შავი ფერის ბუზი, რომე-

ლიც მუდამ ნეხვში დაცოცავს. როგორც კი ამ ბუზს მიუახლოვდებით, ის ისეთ სიმყრალეს გამოუშვებს პირიდან, რომ იქ დგომა გაგიჭირდებათ. თუ კი ერთხელ გაგიგიათ მისი არამზადობა, მერე ისე ველარ შეხედავთ მას, რომ მისი სიმყრალე არ მოგაგონდეთ და უსიამოვნო გრძნობა არ აღგეძრათ. სწორეთ ასე მოსდის დღეს ,,ივერიის'' მკითხველსაც. ხედავთ, რომ ახალი ნომერი გამოსულა; გინდათ მოკიდოთ ხელი, მაგრამ წინანდელი შთაბეჭდილება იღვიძებს და იდეათ ისახება: ,,უთუოთ ყარს'', უნებურათ გაივლებთ გულში და ხელი ცხვირისკენ მიგაქვთ... Fi done!..

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოთ, რომ კვირას 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ ოპერის ფოიეში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) წარსული წლის ანგარიში, 2) სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა 1902/3 წლისა, 3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ, 4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამი წევრისა, 5) მოხსენება შესახებ ქართული წარმოდგენების მართვისა პროვინციებში, 6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა, 7) მოხსენება შესახებ დასის მთელი წლით შენახვისა, 8) არჩევანი საზოგადოების ახალი წევრებისა.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

„АРГОНАВТЪ“

ГАЗЕТА БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ

Первый № возобновляемаго „Аргонавта“ выйдетъ 8 декабря 1902 г.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ.

Годовая плата для городскихъ подписчиковъ—5 руб., для иногородникъ—7 руб. На полгода: для городскихъ— 3 руб., для иногороднихъ—4 руб.

Отдѣльные №№ по 15 коп.

Годовые подписчики 1903 г., подписавшіеся теперь же получаютъ безплатно газету въ декабрѣ текущаго года.

Бывшіе подписчики газ. „Аргонавтъ“, внесшіе плату за 1902 г., будутъ получать возобновляемое изданіе до 15 іюня 1903 г. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать „Аргонавтъ“ до 1 января 1904 г. вносятъ дополнительно 3 рубля.

За объявленіе взимается: за строку петита 10 коп. Годовыя объяяленія со значительной скидкой.

Подписка и объявленія принимаются: 1) въ редакціи „Аргонавтъ“ (Сергіевская, д. № 2) ежедневно отъ 10 до 2 ч. 2) въ Центральной книжной Торговлѣ (Головинскій. д. Мириманова) 3) въ табачномъ магазинѣ „Гаванна“ (Головинскій, д. 3). Иногородніе адресуютъ: Тифлисъ, редакція „Аргонавтъ“.

Вр. редакторъ Р. А. Іоаннисіани.

მიიღება ხელის მოწერა 1903 წლისათვის

„მოამგე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

ეროვნულ თვიური ჟურნალი

„მოამგე“

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა:

ქავკასიასა და რუსეთში:		საზღვარ გარეშე:	
ერთის წლით	10 მ.	ერთის წლით	13 მ.
ექვსის თვით	6 „	ექვსის თვით	7 „
სამის თვით	3 „	სამის თვით	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

ორის სურათებიანის დამატებით

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

ქავკასიასა და რუსეთში:		საზღვარ-გარეშე:	
ერთის წლით	6 მ.	ერთის წლით	9
ექვსის თვით	4 „	ექვსის თვით	5
ერთის თვით	75 კ.	ერთის თვით	90

ვინც „მოამგეს“ მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელ“ სურათებიანის დამატებით უფასოდ გაეგზავნებათ, მხოლოდ ქალაქ გარეშე გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელისმოწერისათანავე უნდა იქნეს შემოტანილ

წლიური ფასის განაწილება ორივე გამოცემაზე:

პირველად—6 მან. ქალაქ-გარეშე მცხოვრებთათვის, და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მ., 1-ლ აგვისტომდე—3 მ

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

Дозволено ценз. Тифлисъ, 30 ноября, 1902 г. ელექტრონით მბეჭდავი, სტამბა ძმ. თავართქილაძისა. სერგიევის ქ. № 1.